# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

№ 219 (5560)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## როგორმე ზამთარს თუ გადავურჩით...

4





2

## რატი სამყურაშვილი ოპოზიციაში გადადის?

კანონმდებლები

3

## ახლა, ვითომ გაიტანს თავისას ოპოზიცია?

უცხოეთის პრესა

10

## საქართველო თანამეგობრობიდან გასვლას არ ჩქარობს

## „რუსეთი მეცოდება“

6



ვუბრუნდებით დაბეჭდილს

8

## სამართალი, რომელმაც 11 წლით დაიგვიანა



## მშობელ დედას აგინებთ, ბიჭებო?!

12

არასერიოზულად – სერიოზულზე

12

## „მკვდარი სულები“ არჩევნებზე



## ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

- ფიქრია ჩიხრაძის აზრით, რა დაამშვიდებს ქვეყანას და პარლამენტს?
- რად არ ენდობა ნდობის ჯგუფი გამყრელიძეს?



№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

⊙ პარლამენტი

# რატი სამყურაშვილი ოპოზიციაში გადადის?

## ასე დამშვიდდება ქვეყანაც და პარლამენტიც?



**პარლამენტის გუშინდელ სხდომას, ბოიკოტის შემდეგ, პირველად დაესწრნენ „მრეწველები“. გია ცაგარეიშვილს 1 სექტემბრის განცდა ჰქონდა, მან ყვავილები ინატრა პარლამენტის თავმჯდომარისთვის მისართმევად.**

განწყობა კი სამუშაო ჰქონდა: „ორივე ხელით მხარს ვუჭერთ, რომ საქართველოს ღმერთი დატოვოს“, – უთხრა მან ჟურნალისტებს დარბაზში შესვლის წინ.

მართალია, მრეწველების ინიციატივა „უმცირესობის“ შექმნის თაობაზე ჯერ არ გადაწყვეტილა და კონსულტაციები მიმდინარეობს, მაგრამ საპარლამენტო ოპოზიცია სხდომათა დარბაზში უკვე სრულად არის წარმოდგენილი.

გუშინდელ სხდომაზე იმსჯელეს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილ ნდობის ჯგუფში ოპოზიციის მონაწილეობაზე. დავით ბერძენიშვილის თქმით, **„ვიდრე საპარლამენტო უმრავლესობა საბოლოოდ ჩამოყალიბებულა, ახალი მემარჯვენეების ფრაქციის თავმჯდომარე ნდობის ჯგუფში შეიყვანოს თუ არა, ჩვენი ფრაქციაც და სხვა ოპოზიციური ფრაქციებიც ნდობის ჯგუფთან შეხვედრას მოვითხოვთ. მათ უნდა პასუხისმგებლობა აიღონ ზამთრის განმავლობაში კოდორის ხეობაში მოსალოდნელი საფრთხის გამო“.**

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი რატი სამყურაშვილი ფიქრობს, რომ ოპოზიციას, რაღა თქმა უნდა, უფლება აქვს საკუთარი კანდიდატი წარმოადგინოს ნდობის ჯგუფში, **„მაგრამ აქვე ვადასტურებ ჩვენს უფლებას, ავირჩიოთ ან არ ავირჩიოთ მათი კანდიდატი“**. სამყურაშვილს „ახლების“ წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ მოსწრებულად უპასუხა და ტაშიც დაიმსახურა: **„ამ ყველაფრის შემდეგ, ოპოზიცია ბატონი რატი სამყურაშვილის კანდიდატურას წარმოადგენს თავისი კვოტით. ჩვენც მშვიდად ვიძინებდით, ქვეყანაც და არანაირი პრობლემა აღარ იქნება“.**



„ახალმა მემარჯვენეებმა“ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნაც მოითხოვეს, რომელიც განათლების მინისტრის მოადგილის სამადაშვილისა და დეპუტატ ნუცუბიძის ურთიერთობას შეისწავლის.

მანანა ნაჭყებიას აზრით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციებში აშკარად ჩანს, რომ განათლების სამინისტრომ დაასწრო და პრევენციული ზომები მიიღო, სანამ მას მოჰკითხავდნენ პასუხს იმ გამჭვირვალე ბიუჯეტისა და დარღვევების გამო, რითაც ჩატარდა საქართველოს სკოლებში რემონტი: **„ასევე სერიოზულ ეჭვს ბადებს ის ინფორმაცია, რომ სამშენებლო ორგანიზაციას მართლაც ჩაერიცხა თანხა და მეორე დღესვე, გია ნუცუბიძე უკვე ამ თანხით მიდის სამადაშვილთან“.**

მანანა ნაჭყებიამ მოითხოვა, ეს ფაქტი პარლამენტმა და საზოგადოებრიობამ შეაფასოს.

**პარლამენტის სხდომამ განიხილა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ნაცვლად შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი ჩამოყალიბდება. ეს პროექტი წინა მოსმენაზე, ოპოზიციის წინააღმდეგობის გამო, ჩავარდა. უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს იქნება ნატოში ინტეგრაციის გზაზე ერთი წინგადადგმული ნაბიჯი; ზვიად ძიძიგურის თქმით კი ჩოხატაურის რაიონის კომუნალური სამსახურის დებულება არ იცვლება ისე ხშირად, როგორც საქართველოს კონსტიტუცია, რაც ბუნებრივად იწვევს ოპოზიციის გაღიზიანებას და პროტესტს.**

ზვიად ძიძიგურის აზრით, ეს არის ტექნიკური ცვლილება და მას მხარს დაუჭერენ, მაგარამ კონსტიტუციას უფრო მეტი პატივით უნდა მოვეპყრათ.

გუშინვე დაიწყო ლუსტრაციის კანონზე კონსულტაციები უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის. უმრავლესობიდან ამ კანონის მომხრენი არიან გიგა ბოკერია და მისი თანამოაზრეები, ხოლო მაია ნადირაძე – მოწინააღმდეგეა

„დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლის კახა კუკავას თქმით, ამ კანონის მთავარი მიზანია, პარლამენტისა და მთავრობის წევრები ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტები არ იყვნენ: **„თუ ამ პრინციპზე შევთანხმდებით, სხვა ტექნიკური საკითხების გამო პრობლემა არ იქნება“.**

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე ფიქრობს, რომ ლუსტრაციის კანონი, გონივრულთან ერთად, ისეთიც უნდა იყოს, რომ არც ადამიანის უფლებები შელახოს და არც მათი ღირსება. ელენე თევდორაძის აზრით, ეს კანონი ოჯახის წევრებს არ უნდა შეეხოს.

ამ საკითხის განსახილველად პარლამენტში შესაძლოა, ინტერფრაქციული ჯგუფიც შეიქმნას.

**თამარ შაიშმელაშვილი**
**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

⊙ ინფორმაცია

### ვაგონშემკეთებლის ჯერიც დადგა

საქართველოს ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ ვაგონების მშენებლობისთვის ს/ს „რუსეთის რკინიგზისგან“ ლიცენზია ვერ მიიღო.

როგორც ქარხნის დირექტორმა დავით გზირიშვილმა განაცხადა, ლიცენზიის მიღებას მისი საწარმო ჯერ კიდევ ოქტომბრის თვეში გეგმავდა. მისივე თქმით, შესაბამისი განცხადება დიდი ხანია „რუსეთის რკინიგზაში“ დევს, თუმცა, ეს პროცესი დაუგეგმავად გაჭიანურდა.

– მართალია ოფიციალური უარი არ მიგვიღია, მაგრამ სავარაუდოდ, ისინი თავს იკავებენ ლიცენზიის გაცემისგან. როგორც ჩანს, მათ ზემოდან აქვთ მიღებული შესაბამისი მითითება, – განაცხადა გზირიშვილმა.

### ნეტავ, რას აპირებენ?

12 ნოემბერს თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო სამმართველოს ოფიცრები ტერაქტს გეგმავენ, რომელიც ქართულ მხარეს დაბრალდება. ამის თაობაზე „სამხრეთ ოსეთის ეროვნული ხსნის კავშირის“ ხელმძღვანელმა ვლადიმერ სანაკოევმა განაცხადა. მისივე თქმით, ეს ინფორმაცია კოკოითის მთავრობის ძალოვანი სტრუქტურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირისგან მიიღო, რომელიც თავს საფრთხეში იგდებს, თუმცა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას მაინც ახერხებს. წყაროს ცნობით, ტერაქტი ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, ქართულ დასახლებულ პუნქტთან ახლოს განხორციელდება.



ვლადიმერ სანაკოევმა გუშინ დახმარებისთვის საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელს როი რივს წერილობით მიმართა. იგი ეუთოს მისიას მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას სთხოვს.

– ვცდილობ, ზარებს შემოვკრა და არსებული ვითარება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასა და მედია საშუალებას შევატყობინო. წინასაარჩევნოდ და არჩევნების დღეს რეგიონში სერიოზული პროვოკაციები იგეგმება. ტერაქტის განხორციელებას „გრუ“-ს გადამდგარი ოფიცრები გეგმავენ. მათ მსხვერპლი სჭირდებათ, რომ მომხდარი ქართულ მხარეს გადააბრალონ, – განაცხადა ვლადიმერ სანაკოევმა.

მისივე თქმით, ტერაქტი, შესაძლოა, კოკოითის ინფორმირების გარეშეც მოხდეს, რადგან „იგი დიდი მექანიზმის პატარა ჭანჭიკია და საითკენაც მიატრიალებენ, იქით წავა“.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ ინფორმაცია

### შემოსავლები გაორმაგდა, ჩვენ მაინც ღატაკები ვართ

საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი 5 წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2001-2005 წლებში ეროვნულმა შემოსავალმა 6 მილიარდ 741, 3 მილიონი ლარიდან 11 მილიარდ 483,3 მილიონ ლარს მიაღწია. 2006 წლის ორ კვარტალში კი ანალოგიური მაჩვენებელი 6 მილიარდ 87,6 მილიონი ლარით განისაზღვრა. გაიზარდა ეროვნული შემოსავლის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზეც და ხუთ წელში 1 459, 6 ლარიდან 2 541 ლარს მიაღწია. 2006 წლის მეორე კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 749, 2 ლარს გაუტოლდა.

### ჰუმანიტარული დახმარება – გაჭირვებულებს

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გუშინ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ჰუმანიტარული ტვირთი გადასცეს. ცერემონიას თურქეთის კონსულიც ესწრებოდა.

დახმარება ოთხ კატეგორიას – მარტოხელა დედებს, ობოლ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებსა და 18 წლამდე ინვალიდ ბავშვებს გადაეცა.

ტვირთი ქართულ მხარეს თურქეთის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციამ გადასცა. ჰუმანიტარული დახმარება გუშინ ხელვაჩაურის რაიონის მოსახლეობას დაურიგდა.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ სიტუაცია

# რათა საფრთხე თავიდან ავიცილოთ

**ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც აფხაზეთის ტელევიზიამ გაავრცელა, პარლამენტის ნდობის ჯგუფთან შეხვედრას მოითხოვს. ფრაქციის წევრის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ ზამთრის პერიოდში, როცა ხეობა საქართველოს მხრიდან ჩაიკეტება, შესაძლოა, სეპარატისტებმა გარკვეული სამხედრო ოპერაცია დაიწყონ.**

– პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში არსებულმა ნდობის ჯგუფმა უნდა იცოდეს, აქვს თუ არა ხელისუფლებას კონკრეტული გეგმა კოდორთან მიმართებაში და რა ნაბიჯებს გადადგამენ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, – აღნიშნა დეპუტატმა.

ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციას შესთავაზა, დავით გამყრელიძის ერთხელ უკვე ჩავარდნილი კანდიდატურის გამო, შეთანხმდნენ სხვა, უფრო მისაღებ კანდიდატურაზე. ოპოზიციურმა ფრაქციებმა კი გამყრელიძის ნდობის ჯგუფში შეყვანა კვლავ კატეგორიულად მოითხოვეს. ამ ინიციატივით, „მემარჯვენე ოპოზიციის“ გარდა, „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილიც გამოვიდა.



ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით კი, არ არსებობს კონკრეტული პასუხი, თუ რატომ ეწინააღმდეგება უმრავლესობა ნდობის ჯგუფში გამყრელიძის შეყვანას.

– უმრავლესობის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს, ვის ენდობა ოპოზიცია და ვის არა. უნდა არსებობდეს დასკვნა, რომელიც უნდა გახდეს საფუძველი იმისა, რომ კონკრეტულ ადამიანს ნდობის ჯგუფში შესვლაზე უარი უთხრა, – აღნიშნა ჩიხრაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

- ბოიკოტი დასრულდა, მაგრამ როგორ დასრულდება ოპოზიციის ახალი წამოწყება?
- რას ელოდნენ და რა მიიღეს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა?



№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ კანონმდებლები

# ახლა ვითომ გაიტანს თავისას ოპოზიცია?

**საპარლამენტო ოპოზიციის ექვსთვიანი ბოიკოტი საბოლოოდ დასრულდა — გუშინ სხდომათა დარბაზში მრეწველებმაც შეაბიჯეს. მათი არყოფნით უმრავლესობას არც არაფერი დაშავებია — რიცხობრივი უპირატესობით, როგორც ბოიკოტამდე, ასევე ბოიკოტის დროსაც, სასურველ კანონებს, სულ თამაშ-თამაშით ილებდნენ. ნაციონალები ფიქრობენ, რომ ბოიკოტმა უარყოფითად ისევ ოპოზიციაზე იმოქმედა, მათ საკუთარი ვალდებულება დაივიწყეს და ამომრჩევლიც მოატყუეს.**



ჯემალ კასრაძის ფოტო.

— ოპოზიციამ თავისი უპრინციპობა კიდევ ერთხელ დაადასტურა. რაღაც მოთხოვნები ჰქონდათ და იმუქრებოდნენ, თუ არ შეგვისრულებთ, დარბაზში ფეხსაც არ შემოვადგამთო. მერედა, შეუსრულეს? — არც ერთი! სხდომებზე დასწრება კი დაიწყეს. აი, მთელი მათი პრინციპულობა. საზოგადოებრიობას ისიც კარგად ახსოვს, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს ბოიკოტი რომ გამოუცხადეს, მეოთხე დღეს კი ინტერვიუები ჩამოურიგეს. ვფიქრობ, ასეთ შეცდომებს ოპოზიცია აღარ გაიმეორებს, — თქვა რატი სამყურაშვილმა.

ბოიკოტი ისე დამთავრდა, რომ სამყურაშვილისთვის მისი მიზანი გაუგებარი დარჩა. ვერც იმას მიხვდა, თუ რაში აძლევდა ეს ყოველივე ოპოზიციას ხელს. ის კი იცის, რომ კოლეგა ოპონენტებს ამ ნაბიჯით საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მიქცევა სურდათ. მაგრამ რა მოიმკეს, საერთაშორისო თანამეგობრობას ოპოზიციის ბოიკოტი გაუკვირდა, ვერა და ვერ გაიგეს, პარლამენტში შესულმა ძალამ რატომ თქვა უარი თავისი ძირითადი უფლებამოსილების განხორციელებაზე...

ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ ბოიკოტმა შედეგი გამოიღო. ამ შედეგად სწორედ მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას ასახელებენ, თითქოსდა გაცხადდა, რომ საქართველოში დემოკრატია უკან-უკან მიჩოჩავს.

**— როცა ასეთ საარჩევნო კოდექსს იღებენ, კვლავ ირღვევა ადამიანის უფლებები და საპარლამენტო უმრავლესობა მკლავის გადაგრეხვის პრინციპით მუშაობს, ეს, ბუნებრივია, განგაშის საფუძველია. ამით დაინტერესდნენ ისეთი კომპეტენტური ორგანიზაციები, როგორიცაა ნატოს პოლიტიკური კომიტეტი, ეუთო, ევროსაბჭო, ევროკავშირის წარმომადგენლობა. სწორედ ეს იყო ბოიკოტის მიზანი. ცხადია, სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას დემოკრატიის მამების იმიჯი, რომელიც რევოლუციის შემდეგ ჰქონდათ, აღარ აქვთ,** — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

ოპოზიციის ბოიკოტს უარყოფითად აფასებს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ნინო კალანდაძე. ასეთი ხანგრძლივი და უშედეგო ბოიკოტის შესახებ მას არსად სმენია:

— პოლიტიკური ბოიკოტი არსებობს, მაგრამ მას რაღაც მიზანი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. ამიტომ გაუმართლებელია ბოიკოტი, რომელიც თავიდანვე კრახისთვის არის განწირული და შემდეგ ესა თუ ის დაჯგუფება რაღაც გამოსავალს ეძებს.

კალანდაძე მიესალმება დარბაზში ოპოზიციის დაბრუნებას, იმედოვნებს, რომ ის კვლავ აქტიურად ჩაერთვება საპარლამენტო მუშაობაში, მაგრამ უსურვებს, რომ ასეთი შეცდომა აღარ გაიმეოროს.

ბოიკოტი თავიდანვე თვალში არ მოსდიოდათ „მრეწველებს“. თუმცა ოპოზიციის ერთობის გამო, დათანხმდნენ და „მემარჯვენეებსა“ და „დემოკრატიულ ფრონტს“ შეუერთდნენ. ეს კი ასე იყო, მაგრამ ყველაზე ბოლოს თავად შეწყვიტეს ბოიკოტი — შედეგს ელოდნენ. ზურაბ ტყემალაძე ახლაც იმედოვნებს, რომ მათი მოთხოვნები შესრულდება.

ამჟერად „მრეწველები“ აქტიურად მართავენ დიალოგს პარლამენტის თავმჯდომარესთან და უმრავლესობის წევრებთან უმცირესობის შექმნის თაობაზე.

**— ბოიკოტის მიზანი იყო, დაგვენახებინა დიპლომატიური კორპუსისთვის, თუ როგორი ურთიერთობაა უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის, რამდენად იზიარებს მმართველი პარტია უმცირესობის აზრს და ა.შ. საერთაშორისო ორგანიზაციები ამით დაინტერესდნენ. პარალელურად, უმრავლესობის უმრავლესობა თანახმაა პარლამენტში უმცირესობის შექმნაზე,** — თქვა ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ.

ასე რომ, ბოიკოტი დასრულდა, მის შედეგებს კი ოპოზიციასთან ერთად, საზოგადოებრიობაც ელის.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ ინფორმაცია

## „ლიკანი“ იყიდება

**სს „სანატორიუმ ლიკანის“ აქციების 99,45 პროცენტის გასაყიდად აუქციონი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 9 ნოემბერს ჩატარდება.**

**სანატორიუმის საწყისი ფასი 1 მილიონ 800 ათასი დოლარია.**

**საპრივატიზაციო ობიექტი ბორჯომში, მესხეთის ქუჩაზე მდებარეობს და მის საკუთრებაში სამკურნალო და ბალნეოლოგიური კორპუსები, საბროილერო და სამი სასადილო კორპუსია. 9 ნოემბერს აუქციონზე სხვა ობიექტებთან ერთად თბილისში, გულუას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობებსა და მიწის ნაკვეთსაც გამოიტანენ, მისი საწყისი გასაყიდი ფასი 200 ათასი აშშ დოლარია.**

**რაც შეეხება ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ყოფილი რაიკოოპერატივის უნივერმაღის შენობას, იგი კონკურსის წესით გაიყიდება. მისი საწყისი ფასი 105 ათასი აშშ დოლარია.**

**საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა უნდა უზრუნველყოს საპრივატიზებო თანხის გადახდა 2006 წლის 1 დეკემბრამდე, მანვე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ცხრა თვის ვადაში უნდა შეასრულოს შს სამინისტროს ქ. ბორჯომის რაიონული განყოფილების პოლიციის შენობის კაპიტალურ-შეკეთებითი სამუშაოები 290 000 ლარის ოდენობით და ამავე განყოფილებისთვის შეიძინოს 60 000 ლარის ტექნიკა და საოფისე ავეჯი.**

**აღსანიშნავია, რომ საპრივატიზებო ობიექტი „თი-ბი-სი“ ბანკზე 10-წლიანი იჯარით არის გაცემული.**

**ინტერპრესნიუსი**

## სახელმძღვანელო საპატიმროთა მუშაკებისთვის

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდითა და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ფინანსური მხარდაჭერით წინასწარი საპატიმრო დაწესებულების თანამშრომელთათვის სახელმძღვანელო გამოიცა.**

**იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, რომ სახელმძღვანელოში განხილულია წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული პრაქტიკა, საპატიმრო დაწესებულების შიდა განაწესი, პატიმრებთან მოპყრობისა და საყოფაცხოვრებო პირობების საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, პატიმართა უფლებები და უსაფრთხოების ზომები.**

## აძევებენ არალეგალებს

**უკრაინიდან 24 კავკასიელის დეპორტაცია განხორციელდება, რომლებიც ქალაქ დონეცკის მილიციამ ქალაქის ბაზრებში დააკავა. დაკავებულთა შორის ქართველები, აზერბაიჯანელები და თურქები არიან. სამართალდამცავთა განცხადებით, ისინი ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებიან და ვაჭრობას უკანონოდ ეწევიან. მათ ადმინისტრაციული ჯარიმა გადაახდევინეს, რის შემდეგაც დეპორტაცია იგეგმება.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ ზაფრა

# განა ბერმუხის სიგრძის გასაზომად მუდამ მისი წაქცევაა საჭირო?!

## რას ველოდით და რა მივიღეთ? – ამბობენ ტექნიკური უნივერსიტეტის ელდანაცემი სტუდენტები

**არის ქართულში დამკვიდრებული ერთი ლამაზი არაბული სიტყვა „ზაფრა“, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით „ნაღვლის ბუშტის“ დაავადებას აღნიშნავს. ამ სიტყვას ქართულში სინონიმად ელდის ცემა შეესაბამება, და იქნებ ამიტომაც არის, რომ გადატანითი მნიშვნელობით იგი ჯავრსა და ნაღველსაც ნიშნავს.**



არ ვიცი, ხმარობენ თუ არა ამ სიტყვას ქართველი ექიმები, მაგრამ ჩვენი ხალხი რომ მოულოდნელი შიშისა და ელდის გამოსახატავად სიტყვა დაზაფრულს ხშირად ხმარობს, ფაქტია.

სხვისა არ ვიცი და, მე თუ მკითხავთ, დღეს ისეთ ვითარებაში ვცხოვრობთ, ყველაზე ზუსტად ეს სიტყვა აკონკრეტებს ჩვენს მდგომარეობას. ყოველდღიური მოულოდნელობებით დაზაფრული ილვიძებ, დაზაფრული დადიხარ და დაზაფრულს რაღა დაგაძინებს.

დიდი ელდის გარდა სხვა რა უნდა ყოფილიყო, რომ გაცხადდა: საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა აკრედიტაცია ვერ გაიარაო, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მომდევნო აკრედიტაციის პროცესამდე სტუდენტთა ახალ კონტინგენტს ვერ მიიღებს. მერედა, როდის? მაშინ, როდესაც ყველაზე დიდი კონკურსი სწორედ საინჟინრო სპეციალობებზე იყო? მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით სწორედ მომავალ ინჟინერთა აღზრდის აუცილებლობა აღნიშნა?

იფიქრა კი ვინმემ, რამდენ პროფესორ-მასწავლებელს, სტუდენტსა თუ აბიტურიენტს დაზაფრავდა განცხადება აკრედიტაციის შეჩერების თაობაზე? რამდენ ახალგაზრდას დაუკარგავდა სამართლიანობის რწმენას და გულს ატკენდა ამ სახელგანთქმული და დღემდე საამაყო სასწავლებლის გუშინ ფეხადგმულ ინსტიტუტებთან გათანაბრება?...

იქნებ იფიქრეს კიდეც, მაგრამ ახია მაგათზე, რადგან ეს ძირძველი, ბუმბერაზი სასწავლებელი ძალიან მნიშვნელოვან და საჭირო კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებსო, ინუგეშეს თავი.

კეთილი, ბატონებო! იქნებ ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური-ტექნიკური ბაზა, მართლაც მოძველდა და გასაახლებელია (სრულყოფილებას ხომ საზღვარი არა აქვს), ბიბლიოთეკაც მისახედია, კომპიუტერებიც დასამატებელია და ამხელა ფართის მქონე სასწავლო დაწესებულებას ფართი კიდევ მოსაძიებელი აქვს, მაგრამ განა ყველაფერი ეს იმაზე მეტია, რაც ამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის თვალსაზრისით არის დანერგილი? ჯერ კიდევ ხომ ხუთი-ექვსი წლის წინათ რექტორმა რამაზ ხუროძემ ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მოდერნიზებული პროგრამები ჩამოიტანა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი განაახლა?

ის, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში არის თანამედროვე სწავლების მეთოდიკა, ახალი ფაკულტეტები, სპეციალობები , ის, რომ პირველმა სწორედ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დაამკვიდრა სწავლების ორსაფეხურიანი სისტემა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და სტუდენტთა შეფასების, პრინციპულად, ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი შეფასების საკრედიტო სისტემა, არაფერს ნიშნავს? ამის დანახვა ვითომ ძნელია და საამისოდ მავანს დიოგენის ფარანი სჭირდება!

არც აქ მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლები არიან აგრერიგად ხელწამოსაკრავნი.

დაბოლოს, არც ისე იოლი პასუხგასაცემია ამდენი დაზაფრული სტუდენტის შეკითხვა: რას ველოდით და რა მივიღეთო? მოდით, და უპასუხეთ!

**ამბობენ, ბერმუხის სიგრძეს წაქცევის შემდეგ ზომავენო. ტექნიკური უნივერსიტეტის სიგრძე-სიგანის გაზომვას, ვფიქრობ, წაქცევა-დაკნინება არ სჭირდება. მით უფრო, თუ ძლიერი ქვეყნის მშენებლობა- აღმშენებლობა მოგვიწადინებია და გულით გვსურს.**

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

**როცა ჭირთა თმენისკენ პათეტიკური ტონით ტელეეკრანიდან გაზულუქებული ოდიოზები მოგიწოდებენ, ეს უკუეფექტს იწვევს, რადგან იცი, რომ გაუთბობელსა და დამშეულს პატრიოტიზმისკენ გამთბარი და მაძღარი მოგიწოდებს.**

№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

◉ ინფორმაცია

## დეპუტატი ავარიაში მოყვა

პარლამენტარი ივლიანე ხაინდრავა სომხეთის ქალაქ სპიტაკთან 7 ნოემბერს ავტოავარიაში მოყვა. მისმა ძმამ გოგა ხაინდრავამ განაცხადა, რომ დეპუტატის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშო არ არის. წინასწარი ინფორმაციით, მას ხელი აქვს მოტეხილი.

ძმის თბილისში ჩამოსაყვანად გოგა ხაინდრავა სომხეთის მიმართულებით უკვე გაემგზავრა.

## გერმანიასთან სამხედრო პარტნიორობა

ჰამბურგის ქვეითთა სკოლისა და საქართველოს სერჟანტთა მომზადების სკოლას შორის გუშინ თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიას კრწანისის სასწავლო ცენტრში თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლევან ნიკოლეიშვილი და საქართველოში ვიზიტით მყოფი გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელი იოჰან ბერგერი დაესწრნენ. ნიკოლეიშვილმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს. საუბარია საქართველოსთვის მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებაზე, ინსტრუქტორების მომზადებასა და ქართველი სამხედროების გერმანიაში სწავლებაზე.

## მთავარია უსაფრთხოება

სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებას, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ნოემბერში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ერთობლივი წვრთნები ჩატარდება, საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია ეხმაურება. იგი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და აცხადებს, რომ „აუცილებელია, ხელი არ შეეშალოს და საფრთხე არ შეექმნას სამოქალაქო ავიაციის ფრენებს". მისია აფხაზურ მხარეს მოუწოდებს, თავი შეიკავოს ქმედებებისგან, რომლებმაც „პირდაპირ ან ნაწილობრივ შეიძლება რისკები შეუქმნას სამოქალაქო თვითმფრინავების ნორმალურ ფუნქციონირებას".

ინტერპრესნიუსი

## ონიშენკოს „სამოდურობა"

რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშენკომ განაცხადა, რომ ამჟამად რუსეთის „როსპოტრებნადზორსა" და აფხაზეთსა და დნესტრისპირეთს შორის მეტად პერსპექტიული მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მისივე თქმით, ამ მოლაპარაკებათა შედეგად არ არის გამორიცხული, რომ აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ღვინოები მალე რუსეთის ბაზარზე გამოჩნდეს.

ონიშენკომ საზოგადოებას ასევე აუწყა, რომ მისმა უწყებამ მოლდავეთის მთავრობასთან, მოლდავური ალკოჰოლის რუსულ ბაზარზე დასაბრუნებელი მოლაპარაკებები შეაჩერა. „მოლდავეთის მხარის მიერ რიგი შეთანხმებების შეუსრულებლობის გამო, ჩვენს მიერ მათთან ამ საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებები შეწყვეტილია", — ამბობს ონიშენკო.

ХО-ЭЙВ-ЭНИ

◉ მოყვარეს პირში უქრახე

*„მეფეთა ოქროში ამხადებენ ბეჭდებსა, ახალგაზრდებს ქაღალდ ფულებს, ხოლო ვამთ წაყოფით ხორციდე მძიმეა".*

*ბოსმან...*



# როგორმე ზამთარს თუ გადავურჩით...

**როცა ხის ჩრდილში მჯდომ დიდ მეცნიერს ისააკ ნიუტონს ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ვაშლი დაეცა თავზე, კაცობრიობამ საჩუქრად მსოფლიოს მიზიდულობის კანონი მიიღო. აი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილს, კი რა და როდის დაეცა, არავინ უწყის, როცა გასულ კვირას მოსკოვში ვიზიტისას განაცხადა — ბუნებრივი გაზის ფასის გაორმაგება მოსკოვის პოლიტიკური გადაწყვეტილებააო. ცხონებული ეროსი მანჯგალაძის პერიფრაზირებული ნათქვამი „ვერის უბნის მელოდიებიდან" ზუსტად ერგება მინისტრის აღმოჩენას. „სწორედაც რომ გაკვირვებულები ვართ მინისტრის დაკვირვებითა". აფსუს, სალომე ზურაბიშვილო, რა ცუდ დროს მოინდომე თბილისის მერობა! გამხდარიყავით მაინც. როგორ ჭირდება დღეს საქართველოს თქვენნაირი საგარეო საქმეთა მინისტრი.**

განა, ბრძენთა ხმობა იყო იმისთვის საჭირო, რომ მიმხვდარიყავით, რუსეთი ემბარგოსა და ქართველთა დეპორტაციას არ დასჯერდებოდა და დამატებით ყველა ღონეს იხმარდა ურჩი საქართველოს მოსაშთობად? აი, ეს უნდა გაეთვალა საქართველოს ხელისუფლებას და იმთავითვე დაეჭირა თადარიგი, თორემ ბატონი ბეჟუაშვილის განცხადება — თუმცა საჯაროდ, თანაც რუსეთში ამის განცხადება მაინც საჭირო იყო — მხოლოდ იმ ფაქტის დადასტურებაა, რაც ისეც ვიცოდით. ვნახოთ, გილაური გვპირდება ენერგომომარაგების ალტერნატიულ გზებს. ოღონდ ფასი ჯერაც გასაიდუმლოებულია...

### მიუწვდომელი ნატო

**რატომ? იმიტომ, რომ ჯერ სანდრო გირგვლიანის მკვლელები დასაჯეთ, ანუ სასამართლოები, სამართალმა რომ პური ჭამოს, ისე მოაწყვეთ, ბიზნესგარემო რეალურად გააუმჯობესეთ, სამუშაო ადგილები ნამდვილად შექმენით, პრეზიდენტის დასაქმების პროგრამის ანაბარა ნუ იქნებით. პოლიტპატიმრები გაანთავისუფლეთ, პატიმრებს ნუ აწამებთ, იმდენი კაცი დაიჭირეთ, რამდენი „ნარიც " გაქვთ. ანუ, ჯერ შიგნით მოეწყვეთ, ევროსტანდარტების შესატყვისად და მერე ვილაპარაკოთო.**

ყველა რატომს თავისი იმიტომ აქვს. კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება,| მაგრამ ვგონებ, ესეც კმარა. იქ, ზუსტად დათვალეს ჩვენი „რატომ-იმიტოები" და ამიტომაც განაცხადა ამას წინათ ნატოს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, საქართველოს მიღება ამ ორგანიზაციაში ახლო პერსპექტივაში არ განიხილებაო.

ალბათ, ამიტომ განაცხადა „ეხო მოსკვის" რედაქციაში გელა ბეჟუაშვილმა, ნატოში გაწევრიანება საქართველოს თვითმიზანი არ არისო, ოფიციალური თბილისის პოლიტიკური ისთებლიშმენტის უმრავლესობა კი მაინც „ნატო", „ნატო", „ნატოო" გაიძახის. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეიგნონ, რომ ჰორიზონტის დევნას რეალური საქმეების კეთება სჯობს.

### ბენდუქიძის არითმეტიკა

**გასული კვირის ერთი უმთავრესი მოვლენა, მაინც ბუნებრივი გაზის ფასის მოსალოდნელი გაორმაგება იყო. მერამდენედ ხვდება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მომავალ ზამთარს შიშით? ბოლო 14-15 წელია ზამთრობით ხან სულ ბნელში ვისხედით და ვითოშებოდით, ხანაც სამიდანსამზე „გაგვანათებდნენ" ხოლმე.**

მომავალ ზამთარში ენერგოდეფიციტის ახალი, ბევრად უფრო მზაკვრული ვარიანტი იქნება. 230 დოლარი ის ფასია, რითიც ევროპას აწვდის გაზს რუსეთი, მაგრამ იქ ევროპული ხელფას-პენსიებია. საქართველო კი, სამწუხაროდ, მხოლოდ გეოგრაფიულად არის ევროპა. რუსეთი, როგორც ადრე, „რუბილნიკს" არ გამორთავს. გაზიც იქნება და შუქიც, მაგრამ მხოლოდ გადახდისუნარიანი უმცირესობისთვის. გაზი ისეც არა აქვს საქართველოს უმეტეს ნაწილს. ნუ იტყუებიო, იქით შეუტია ჟურნალისტს ბენდუქიძემ. თბილისი და რამდენიმე ქალაქი თუა გაზიფიცირებულიო. ვითომ, ზუსტი არითმეტიკაა? თბილისში ხომ საქართველოს ამჟამინდელი მოსახლეობის ნახევარი მაინც ცხოვრობს. ამას დავუმატოთ რუსთავი, ქუთაისი, ბოლნისი... არ იქნება საქართველოს მოსახლეობის სამი-მეოთხედი? სავარაუდოა, რადგან მინისტრს ტერიტორია და რაოდენობა ერთმანეთში აერია. თუ თავის მილიონებსაც ასე ითვლის!?.

თუ ადრე ენერგოდეფიციტი თითქმის ყველას გასაჭირი იყო, რადგანაც ენერგია ფიზიკურად არ იყო და ჩაბნელებულ მყუდროებას თითო-ოროლა „დვიჟოკის" გრუხუნი არღვევდა მხოლოდ, ახლა სხვაგვარად იქნება საქმე. გაძვირდება გაზი? გაძვირდება დენიც, პირველადი მოხმარების საქონელიც. ამ ფონზე ღარიბ-ღატაკთა და მდიდართა შორის კონტრასტულობა უფრო თვალში საცემი გახდება და ეს არის საშიში.

ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადის გადახდა მხოლოდ ერთეულებს შეეძლებათ. ხელისუფლებას ჯერჯერობით ყინჩად უჭირავს თავი: აზერბაიჯანის შაჰდენიზის ირანის გაზის ზღაპრებს გვიყვება. ვერც დასავლეთი მოახდენს რუსეთზე ზეწოლას. რუსეთი თავს გაიმართლებს, მსოფლიო საბაზრო ფასით ვყიდიო. დასავლეთმა აშკარა ფაშისტურ გამოხდომებზე ვერაფერი გააწყო რუსეთთან, რადგან მან ქართველების მასობრივი დეპორტაცია უკანონო მიგრანტებთან ბრძოლით ახსნა, რასაც დასავლეთშიც ებრძვიან. საერთოდაც, ბოლო დროს რუსეთი დიდად აღარ უწევს ანგარიშს დასავლეთს და მსოფლიო პოლიტიკაში ოდესღაც მძლავრი პოზიციების აღდგენას არც თუ წარუმატებლად ცდილობს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ფუჭია იმის იმედი, თითქოსდა დასავლეთის ზეწოლა რუსეთზე. ენერგომატარებლებს ნუ გაუძვირებ საქართველოსო, დადებით შედეგს გამოიღებს. მძიმე ზამთარი გველის და ამ სიმძიმეს, ვიმეორებ, ის გაამძაფრებს, რომ რეალურად გაზიც იქნება და შუქიც, მაგრამ მხოლოდ ძლიერთა ამა ქვეყნისათვის, ანუ მინისტრების, პარლამენტის დეპუტატების და სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკთათვის. ეს კი მოსახლეობის უმრავლესობაში უსამართლობის გრძნობას გაამძაფრებს, რამაც შეიძლება სოციალურ აფეთქებამდეც მიიყვანოს ქვეყანა.



### „თავისუფლება ლომთა ხვედრია"

**ვიცით ბატონებო! თანახმანი ვართ, რომ მტრის ჯინზე უნდა გავუძლოთ გაჭირვებას, მაგრამ როცა ჭირთა თმენისკენ პათეტიკური ტონით ტელეეკრანიდან გაზულუქებული ოდიოზები მოგიწოდებენ, ეს უკუეფექტს იწვევს, რადგან იცი, რომ გაუთბობელსა და დამშეულს პატრიოტიზმისკენ გამთბარი და მაძღარი მოგიწოდებს.**

თუ სამშობლოსათვის ჭირთა თმენაა, ყველანი ერთ ტაფაში უნდა ვიხრაკებოდეთ! და ხელისუფლება ამის მაგალითი უნდა იყოს! ასეთ დროს რომ გაიგებ, ბატონი კირკიტაძე სახელმწიფო ხარჯით, ანუ ჩვენი ფულით, ინტელექტის ასამაღლებლად ოქსფორდსა თუ კემბრიჯში გაუგზავნიათ, გაგეცინება, სატირალი რომ არ იყოს.

იქნებ თავი ვანებოთ უაზრო ძვირადღირებულ პიარ-აქციებს, უარი ვუთხრათ დეპუტატ-მინისტრებს ტურისტულ მივლინებებზე და ბიუჯეტის სახსრები ამ ზამთარს მაინც მივმართოთ გაჭირვებული, მშიერი მოსახლეობისაკენ. ბენდუქიძეს რომ ჰკითხოთ, გაზის ტარიფის გაზრდა, არანაირ გავლენას არ მოახდენს სხვა პროდუქტების ფასებზეო. არადა, ცხოვრება უკვე სამჯერ-ოთხჯერ გაძვირდა. კვერცხი რომ 30 თეთრი ეღირება, კარტოფილი — 1,5 ლარი, ლობიო კი — 4-5 ლარი, პურიც რომ დაპატარავდა, ანუ, ძირითადი საკვები გაჭირვებული მოსახლეობისა, რა ვქნათ ჩვენ, ხალხმა?! შიშველი პატრიოტიზმით შევინახავთ თავსა და ოჯახებს?! ხელისუფლებამ რაიმე უნდა იღონოს, რომ როგორმე ამ ზამთარს გადავურჩეთ. ეს ზამთარი და, საერთოდ, მომავალი წელი, ალბათ, გადამწყვეტი იქნება საქართველოსთვის. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და ხელისუფლებას ხალხის დაპურების, გათბობის მზა რეცეპტი ჰქონდეს. მაგრამ, ვაი, რომ ჩემი ეჭვები უფრო საფუძვლიანია.

**დავით მხეიძე**

● რა შეცვლის ბენზინს და გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას?



◎ ენერგოუსაფრთხოება

# 2. ალტერნატიული წყაროების ძიებაში

**ნავთობზე მაღალმა ფასებმა ადამიანებს გაახსენა მეცხრამეტე საუკუნის მთავარი საწვავი — ქვანახშირი, თუმცა ყველაზე დიდი ძალისხმევა მაინც განახლებადი ელექტროენერგიის წყაროების ასათვისებლად იყო მიმართული. შეიქმნა საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო, წყალბადის ენერგიის საერთაშორისო ასოციაცია, სუფთა ენერგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა. ალტერნატიული ენერგიის თავისებურ პოლიგონად ისლანდია მოგვევლინა, სადაც ელექტროენერგიის 80 პროცენტს იძლევა ალტერნატიული წყაროები. მილიარდობით დოლარი დაიხარჯა ენერგიის შემნახველი ტექნოლოგიების შემუშავებაში.**



თუ შევეცდებით განვაზოგადოთ თანამედროვე ინიციატივები და შემმუშავებელი ტექნოლოგიები ალტერატიული ენერგეტიკის დარგში, აშკარა გახდება, რომ მუშაობა მიმდინარეობს ძირითადად ორი მიმართულებით: პირველი — ეს არის ბენზინის, საავიაციო ნავთისა და დიზელის საწვავის შეცვლა ეკოლოგიურად სუფთა საწვავით. მეორეა ელექტროენერგიის საწარმოებლად ნავთობის წვაზე უარის თქმა.

მაზუთის ფასების ზრდის გამო ელექტროენერგიის პრობლემების გადასაჭრელად მოხერხებული იქნება განახლებადი ენერგიის, უწინარესად, ჰიდროენგერგეტიკული წყაროების გამოყენება. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ არსებული ჰიდრორესურსები იმ მასშტაბისა არ არის, რომ ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. იგივე შეიძლება ითქვას გეოთერმული წყაროების გამოყენებაზეც, ხოლო რაც შეეხება ქარის ენერგიის გამოყენებას, აქამდე იგი ეკონომიკურ კონკურენციას ვერ უწევდა ნავთობს, გაზს, ქვანახშირს და, მიუხედავად აქტიური სამთავრობო მხარდაჭერისა, მისი ხვედრითი წილი არ აღემატება პროცენტის მეათედს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში ის არის ენერგეტიკის ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგი.

ჯერჯერობით კი ნავთობის შემცვლელად სპეციალისტები მაინც მოიაზრებენ ატომურ ენერგეტიკას, თუმცა ჩერნობილის ავარიის შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო, ატომური ელექტროსადგურები ერთობ არაპოპულარული გახდა. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ ატომური პროგრამები ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ გადასინჯა. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა აშენდეს 300 გეგავატის სიმძლავრის ატომური სადგურები, ჩინეთში — 100 გეგავატის, ინდოეთში — 40 გეგავატის და ა.შ. გერმანიაშიც კი, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ატომური სადგურების მთლიანი ლიკვიდაციის შესახებ, დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ ატომურ ენერგიაზე უარის თქმა ჯერჯერობით ნაადრევია. საფრანგეთში ატომური ენერგიის ხვედრითი წილი 75 პროცენტიდან 80 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს, ამერიკაში 20-დან 25 პროცენტამდე. ექსპერტების მონაცემებით, უახლოეს 20-30 წელიწადში მსოფლიოში უნდა აშენდეს 600 გეგავატის სიმძლავრის ატომური სადგურები.

თუ ვიმსჯელებთ ნავთობის შესაძლო შემცვლელებზე, მათ შორის, უდავოდ, პირველ ადგილზეა წყალბადი. ეკოლოგიური სისუფთავის თვალსაზრისით ძრავას, რომელიც მუშაობს წყალბადზე, ბადალი არა ჰყავს. ამიტომ გასაგებია, რომ განვითარებული ქვეყნები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ წყალბადის ენერგიის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად წყალბადის ძრავები და ელექტროგენერატორები უკვე მზად არის წარმოებაში ჩასაშვებად, მაგრამ ეს არ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი წარმოების აწყობა საჭიროებს უდიდეს ინვესტორებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ასევე შეიმუშავეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს ნავთობის ჩანაცვლება წყალბადით. აქ უკვე არსებობს ე.წ. „ატომურ-წყალბადური“ ინიციატივა, რომელიც 2015 წლისთვის ითვალისწინებს ატომურ-წყალბადური კომპლექსების შექმნას, რომლის მეშვეობითაც ნაწარმოები იქნება წყალბადი მაღალტემპერატურული ატომური რეაქტორების დახმარებით.

ევროკავშირშიც ძალიან აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. გამოყოფილია 2 მილიარდი ევრო წყალბადისა და სხვა განახლებადი ენერგიის წყაროების მისაღებად. გარდა ამისა ევროკავშირის ზოგიერთმა ქვეყანამ ერთობლივად შეიმუშავა პროგრამა, რომლის შედეგად უნდა შემცირდეს ამ ქვეყნების ნავთობის იმპორტზე დამოკიდებულება. მიმდინარეობს დაფინანსება პროგრამისა, რომლის შედეგადაც ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროები უფრო იაფი უნდა გახდეს. ევროპის ქვეყნებში უკვე დაიწყეს ლაპარაკი ენერგომატარებლების მიწოდების საკითხის უაღრეს პოლიტიზებაზე, ხოლო რუსეთს „არასაიმედო და არასტაბილურ ენერგოპარტნიორს“ უწოდებენ. წინა პლანზე გამოვიდა ენერგოშემცველების მიწოდების დივერსიფიკაციის საკითხიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოწოდების დივერსიფიკაცია, როგორც ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარი და მამოძრავებელი პრინციპი, ამწვავებს ურთიერთობებს რუსეთსა და ევროკავშირს შორის. სამწუხაროა ისიც, რომ ენერგოშემცველების მიწოდების დივერსიფიკაცია სულ უფრო მეტად აშორებს ერთმანეთს რუსეთს და ევროკავშირს.

ამ ეტაპზე წყალბადზე გადასვლაზე უფრო რეალისტურად ჩანს ეთანოლის წარმოება ბიომასის საფუძველზე. ბიოტექნოლოგიების განვითარების მაღალმა დონემ შესაძლებელი გახადა საწვავის ამ სახეობის წარმოება, რომელიც ადრე იწარმოებოდა მხოლოდ სიმინდისა და შაქრის ლერწმისგან. ამჟამად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეთანოლის წარმოება ძალიან გაადვილებულია. მისი წარმოება შეიძლება სოფლის მეურნეობის და სხვადასხვა საწარმოო ნარჩენებისგან. ბენზინის ნაცვლად საწვავად ეთანოლის გამოყენება ნახშირორჟანგის გამონაბოლქვს ამცირებს თითქმის 80 პროცენტით, ხოლო გოგირდის დიოქსიდის გამონაბოლქვი სრულიად გამორიცხულია.

ეთანოლმა განსაკუთრებით ისეთი ქვეყნის ეკონომიკა გარდაქმნა, როგორიც არის ბრაზილია, სადაც ავტომანქანებს შეუძლიათ მუშაობა როგორც ეთანოლზე, ისე ბენზინზე. ამის შედეგად ქვეყანა ნაკლებად არის დამოკიდებული ნავთობის იმპორტზე. 2003-2004 წლისათვის ბრაზილიაში ეთანოლი ერთ ლიტრ ბენზინზე 45 პროცენტით იაფი იყო. იმავე ბრაზილიაში 2005 წელს გაყიდული მანქანების რაოდენობა, რომელიც აღჭურვილი იყო ასეთი ძრავებით, 73 პროცენტს შეადგენდა, მაგრამ თითქოს ერთი შეხედვით ამოუწურავი საწვავის წყაროს, სამწუხაროდ, ერთობ შეზღუდული პოტენციალი აქვს.

ამრიგად, განვითარებულ ქვეყნებში ენერგეტიკისა და ტრანსპორტის კარდინალური გარდაქმნა, რომელიც გულისხმობს ნავთობიდან წყალბადზე და ენერგიის განახლებად წყაროებზე გადასვლას, გაათავისუფლებს განვითარებულ ქვეყნებს არა მხოლოდ ნავთობის იმპორტზე დამოკიდებულებისაგან, არამედ უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ეკოლოგიური პრობლემის გადასაწყვეტად.

ამ თვალსაზრისით მეტად სავალალო მდგომარეობაა საქართველოში. ამის მიზეზი, უწინარესად, არის მოძველებული საავტომობილო პარკი, რომელიც აუტანელს ხდის ეკოლოგიურ მდგომარეობას, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. ასევე უარყოფითად მოქმედებს თანამედროვე ტექნოლოგიების დაბალი დონე, აგრეთვე პროგრესული საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, რომელიც დაარეგულირებს, გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას. ჩვენი აზრით, დადგა დრო ამ საკითხის დარეგულირებისა თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა დონეზე, მით უმეტეს, რომ საქართველო მიისწრაფვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ, სადაც დაწესებულია მკაცრი ეკოლოგიური ნორმები.

**ნავთობის ერა უახლოეს მომავალში წარსულს ჩაბარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ენერგეტიკულ სახელმწიფოებს, რომლებიც ენერგეტიკას ველური ფორმებით იყენებენ თავის მეზობელ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლის მიზნით, გავლენა შეუსუსტდებათ, თუმცა გულხელდაკრეფილები ჩვენ მაინც არ უნდა ვიჯდეთ და უფრო პრაგმატული და რაციონალური მოქმედება უნდა დავუპირისპიროთ აგრესიულ ნეოიმპერიალისტურ პოლიტიკას.**

**მამუკა გვაძაბია**

◎ ფორუმი

# თბილისიდან - ტოკიოში, ტრენინგების გასავლელად

**საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრ „კავკასიის“ მიერ ჩატარებულ „განათლებისა და დასაქმების ფორუმი 2006“ დასრულდა. მასში მონაწილეობა ხუთ ათასზე მეტმა სტუდენტმა, უმუშევარმა ახალგაზრდამ, მცირე და საშუალო ბიზნესმენმა, პროფესორ-მასწავლებელმა მიიღო. აქედან ბიზნესის განვითარების და დასაქმების პილოტური პროგრამის ფარგლებში ტრენინგი ოთხასმა კაცმა გაიარა, პროგრამის მონაწილეთაგან სამმა საუკეთესო მცირე ბიზნესმენმა კი ტოკიოდან ტრენინგების გასავლელად მოწვევა მიიღო, რომელსაც იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებს.**

ფორუმზე სტუდენტებსა და უმუშევარ ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ, შეხვედროდნენ საერთაშორისო თუ ადგილობრივი საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გაცნობოდნენ მათ მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე ბიზნეს-კომპანიების წარმომადგენლებს, რომლებმაც, თავის მხრივ, საჭირო ვაკანსიები მიაწოდეს და დასაქმების კრიტერიუმები გააცნეს.

დასაქმების გარდა 2006-2007 წლებში სტუდენტთა უმრავლესობა „კავკასიის“ ბიზნესისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ტრენინგებში მონაწილეობას მიიღებს, რის შემდეგაც მათ შესაბამისი კომპანიები დაასაქმებენ.

პროგრამის სპონსორები ბანკი „რესპუბლიკა“, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, კომპანიები „კოკა-კოლა“ და „ელიტ-ელეტრონიქსი“ იყვნენ, რომლებმაც, ასევე, საჭირო ვაკანსიებიც წარმოადგინეს, პროგრამის და ფორუმის შედეგად უკვე 200 ადამიანი დასაქმდა, წლის განმავლობაში კი ეს რაოდენობა გაორმაგდება.

ძალიან მალე მსგავსი პროგრამა გაგრძელდება ქუთაისში და ბათუმში ამერიკის შეერთებული შტატების მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელებთან ერთად.

**ლელა მანაგლიშვილი**

◎ ინფორმაცია

## სტუდენტების კონკურსი

**კომპანია „არტი ჯგუფი“ ქვეყნის ექვსი უმაღლესი სასწავლებლის მე-4 კურსის სტუდენტებისთვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსს ატარებს. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტში კონკურსის პირველი ტური მიმდინარეობს. დღესვე „არტი ჯგუფი“ ანალოგიურ კონკურსს აგრარულ უნივერსიტეტშიც გამართავს, შემდეგი ორი თვის განმავლობაში კი — „იესემში“, ტექნიკურ უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალსა და კავკასიის ბიზნეს-სკოლაში.**

**კონკურსი სამ ტურად ჩატარდება. პირველ ტურში სპეციალური ტესტებით სტუდენტთა ლოგიკური აზროვნების უნარი შეფასდება, II ტურში გამარჯვებულ სტუდენტებს ბიზნეს-პროექტების შედგენა დაევალებათ, ხოლო III ტურში კონკურსანტებთან გასაუბრება მოხდება.**

## „ახალი გზის“ პროტესტი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი გზა“, ნარკოტიკების მომხმარებელთა მასობრივი დევნის გამო, პროტესტს გამოთქვამს და ნარკოტიკების მომხმარებელთა და რეალიზატორთა გამიჯვნას მოითხოვს. როგორც სასტუმრო „ვარაზში“ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზეორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, ნარკოტიკების მომხმარებელთა მასობრივი დევნა დაიწყო.**

**ორგანიზაციის წარმომადგენელთა მტკიცებით, 2006 წლის პირველი სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ნარკოტიკების მოხმარების ფაქტის დასადგენად პოლიციამ 1700 პირი მიიყვანა. ამ პერიოდში კი, სამოქალაქო საქმეთა სისხლის სამართლის კოლეგიამ ნარკოტიკების მცირე ოდენობით მოხმარების 185 საქმე განიხილა.**

**„ახალი გზის“ წარმომადგენლის დალი უშარიძის განცხადებით, ნარკოტიკების მომხმარებელს, მეორედ დაკავების შემთხვევაში, ჯარიმის სახით საკმაოდ დიდი თანხის გადახდა ეკისრება, რაც ხშირ შემთხვევაში ოჯახს არ აქვს. „არ შეიძლება, ნარკომანს ვუწოდებდეთ ავადმყოფს, მომხმარებელს კი დიდ ჯარიმას ვაკისრებდეთ. სახელმწიფო ნარკოტიკების მომხმარებლისგან ბიუჯეტს კი არ უნდა ავსებდეს, არამედ მის განკურნებაზე უნდა ზრუნავდეს“, — აცხადებენ ორგანიზაციის წევრები.**

## მედიკოსები — პაციენტებს

**ქვეყანაში სისხლის მარაგის დეფიციტის აღმოსაფხვრელად, ექიმებმა აქცია „მედიკოსები -პაციენტებისთვის“ დაიწყეს. რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმებმა სისხლის გადასხმის ცენტრში, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე დავით მესხიშვილთან ერთად, 7 ნოემბერს სისხლი ჩააბარეს.**

**მესხიშვილმა განაცხადა, რომ თუ ქვეყანაში სისხლის დეფიციტი არსებობს, ამის მოგვარებაზე, პირველ რიგში, ექიმებმა უნდა იზრუნონ.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

- რატომ ეცოდება რუსეთი კახა ბენდუქიძეს და რატომ ვერ უპასუხებს მის კითხვას რუსეთელი ჟურნალისტი?
- როდემდის? — კითხულობენ ილაჯგაწყვეტილი ადამიანები.



◉ დღის თემა

# „რუსეთი მეცოდება“

***საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეფორმათა კოორდინაციის საკითხებში, საქართველოსა და რუსეთის მოქალაქე კახა ბენდუქიძე ფიქრობს, რომ თბილისის წინააღმდეგ ამოქმედებული მოსკოვის სანქციები რუსეთს მეტ არსებით ზარალს მიაყენებს, ვიდრე საქართველოს.***

***მინისტრს ესაუბრა „სოვერშენო სეკრეტნოს“ ჟურნალისტი ლეონიდ ველეხოვი (№ 11, ნოემბერი, 2006წ.***

**— როგორ შეაფასებთ რუსეთის სანქციებით საქართველოსათვის მიყენებულ ზარალს?**

— სასაცილო იქნებოდა ზარალის უარყოფა, ოღონდ იმისი ოდენობა ერთი რიგით დაბალია, ვიდრე მოსკოვში წარმოედგინათ მთელი ამ ისტორიის წამომწყებთ. ჩემი შეფასებებით, დანაკლისი ერთ-ორ წელიწადში დაიფარება.

ამ სანქციების შედეგად არც საქართველო გამხდარა უარესად, არც რუსეთი — უკეთესად. არის რაიმე აზრი ყველაფერ ამაში? არავითარი. ეგებ არც მოეწონოს ყველას, რასაც ვიტყვი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ ბლოკადისაგან ძირითადი ზიანი საქართველოს კი არა, რუსეთს მიადგება.

**— თქვენ ხომ ეკონომიკურ ზარალს არ გულისხმობთ...**

— არა, რა თქმა უნდა. ის ძალები, რომლებიც სწორედ ბლოკადის შემოღებამ გამოაღვიძა და აამოძრავა რუსეთში, შეუდარებლად უფრო საშინელია, ვიდრე რუსული მაკარონი, რომელსაც საქართველო ვერ შეჭამს. არალეგალური იმიგრაციის საწინააღმდეგო რაღაც მოძრაობა, ჯერ კიდევ გუშინ რომ არავინ იცოდა, ხოლო ვინც იცოდა, სათვალავში არავინ აგდებდა, ხდება ხელისუფლების საყრდენი. მებრალება რუსეთი.

**— მაინც რა უცნაური ანგარიშსწორება დევს რუსეთის ხელისუფლების მთელი ამ ქმედებების მიღმა, თქვენი აზრით?**

— ანგარიშსწორება? დასჯა დევს, რათა სხვებმა ველარაფერი გაბედონ, იცოდნენ, თუ ვინ არის ქვეყნიერების ამ ნაწილში ბატონპატრონი. რუსეთელ პოლიტიკოსებს სერიოზულად ჰგონიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებას 12-პროცენტიანი რეიტინგი აქვს, კიდევ ცოტა დარჩა სიტუაციის გასამწვავებლად და ხალ-



ხი ქუჩებში გამოვა საძულველი რეჟიმის დასამხობად. ეს ხომ სასაცილოა — საიდან აიღეს ეს ციფრი? აბა, გადით გარეთ და ჰკითხეთ ათ პირველ თვალში მოხვედრილ კაცს. იგივეა ეკონომიკაში — საიდან გამოტყვრა მითი, თითქოს ის რუსეთში ღვინის ექსპორტზეა დამყარებული, საიდანაა შეხედულება, თითქოს ქართველთა უმრავლესობა ნატოში შესვლის წინააღმდეგია?

სიტუაცია არასწორად შეფასდა მარტო საქართველოში კი არა — მთელ ამ ანტიქართული კამპანიის შესაძლო შედეგები თვით რუსეთისთვისაც მცდარად გათვალეს. განსაკუთრებით კონდოლოგის ამბების შემდეგ იყო საჭირო ასჯერ გაზომვა, ვიდრე ბოთლიდან ისეთ სახიფათო ჯინს ამოუშვებდნენ, როგორიც ნაციონალიზმია. ეს ჯინი ძალიან დიდია, ბოთლის ყელი კი — ვიწრო. უკან ვაითუ ველარც ჩასტენო.

ისეთი დიდი ქვეყნის ხელმძღვანელობა, რუსეთი რომაა, რა თქმა უნდა, ვერ ჩასწვდება მისი ინტერესების პერიფერიაზე მყოფი პატარა საქართველოს მიმართ პოლიტიკის წვრილმან დეტალებს, ხელქვეითთა მიერ მომზადებული მოხსენებების მიხედვით აკეთებს ორიენტირებას. ეტყობა, ეს მოხსენებები სიღრმისეულად მცდარია.

რუსეთი მეცოდება-მეთქი, როცა ვამბობ, ამაში, დამიჯერეთ, არავითარი ირონია არ არის. იქ მეტი მეგობარი მყავს, ვიდრე საქართველოში. რუსეთში 28 წელი ვიცხოვრე, საქართველოში კი — 20. ძალიან არ მინდა, რომ რუსეთში ჩემიანების ცხოვრება არაკომფორტული გახდეს.

**ჩნდება კითხვა — რუსეთს რაღა სურს? შემიძლია ამ შეკითხვის დასმა თქვენთვის, როგორც ამ ქვეყნის წარმომადგენლისთვის?**

**— შეგიძლიათ, მაგრამ მე ვერ შევძლებ პასუხის გაცემას. ეს ჩემთვისაც გაუგებარია...**

— მერწმუნეთ: თქვენ დაახლოებით 129-ე რუსი ხართ, ვინც სწორედ ასე უპასუხებს ამ კითხვას, თანაც შესაბამის სიაში ერთობ მაღალმდგომარეობიანი რუსეთელი მოხელეებიც არიან... რასაკვირველია, არავის სჯერა, რომ ხვალ მოსკოვი დაბომბავს თბილისს და, მით უმეტეს, რომ ქართული ჯარები შეიჭრებიან რუსეთის მიწა-წყალზე და სტალინგრადამდე ცეკვა-ცეკვით მივლენ. ბავშვურია ეს ყველაფერი.

**— რას ფიქრობთ, რამდენად მალე დასრულდება მთელი ეს ისტორია სანქციებითა და ბლოკადით? ბევრი ვარაუდობს, რომ ცდა დიდხანს აღარ მოგვიწევს...**

— მე არ ვარ ასეთი ოპტიმისტი. სანქციებს სხვადასხვა კომპონენტი აქვს, რომელიღაცა ეგებ ჩქარა გააუქმონ, ოღონდ მადაც ხომ ჭამაში მოდის და ეს ჭამა დიდხანს გაგრძელდება. მახსოვს, 6 წლის წინათ რუსეთმა სავიზო რეჟიმი შემოიღო საქართველოსთვის. რისთვის — ვერც მე და ვერც ჩემს კოლეგებს ვერ გაგვიხსენებია. თუმცა ჩვენ ცალმხრივი წესით ძალიან სწრაფად და მაქსიმალურად გავამარტივეთ ის. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში მუდამ არის ძლიერი ბიუროკრატიული ინერცია. კი ბატონო, რომელიღაც სანქციებს მოხსნიან, თვითმფრინავები კი, მაგალითად, ისევ ისე არ იფრენენ, როგორც არ დაფრინავენ ახლა. არავითარი სრული რევერსი არ იქნება და არც შეიძლება იყოს.

მოამზადა
**თამაზ ეზანოიძე**

◉ გლობუსი

# შანხაის თანამშრომლობის



**კარზე მომდგარი ზამთრის მოლოდინში, როდესაც მოსახლეობების მარტივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, გაზზე მოსალოდნელი ფასების ზრდიდან გამომდინარე, სულ უფრო მიუღწევადი ხდება, მაღალ მატერიებზე მსჯელობა ზოგს ფუქსავატური აზროვნების ნაყოფად შეიძლება მოეჩვენოს. მშიერი და შეციებული კაცისათვის გლობალიზაციაზე, რეგიონალიზაციაზე, ბიპოლარიზაციაზე და სხვა მსგავს თემაზე საუბარი ნაკლებად საინტერესოა.**

აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოთა დიდი ნაწილისთვის, მრავალი წლის განმავლობაში, ისეთი პოლიტიკური სისტემა იყო დამახასიათებელი, რომელიც შიმშილისაგან დაოსებულ მოსახლეობას, ლუკმა-პურის მოპოვებაზე ფიქრის გარდა, ნაკლებად აძლევდა უფრო სერიოზულ თემებსა და მატერიებზე ფიქრისა და განსჯის შანსს. ცნობისათვის, აფრიკის ქვეყნების ლიდერების მრავალწლიანი მმართველობა, რომელსაც დემოკრატიულობის არავითარი ნიშანწყალი არ გააჩნდა, მსოფლიო დემოკრატიის მოწინავე სახელმწიფოს, აშშ-ს მოჭარბებული მხარდაჭერით სარგებლობდა.

ძნელია იფიქრო მაღალ მატერიებზე, როდესაც ყოფითი პრობლემები სხვა მიმართულებით მიგაქანებს, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთი ყოფილა დამოუკიდებელი სქაართველოს ხვედრი. პატრიოტულ მოწოდებას — უნდა გავუძლოთ, თან ერთვის 1992 წლიდან დაწყებული ყინვაგამოვლილ ადამიანთა გონებამიხდილი კითხვა — როდემდის? მასზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა დღესაც ისევე ძნელია, როგორც გუშინ.

„გაზპრომის“ გადაწყვეტილებას გაზზე ფასების 230 დოლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით, ქართველ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მიიჩნევს. და თუ ასე მიაჩნიათ, იქნებ უმჯობესი იყო სხვა სახის პოლიტიკის წარმოება? თითქმის ერთი წელია რუსეთი გაზის ფასების გაზრდაზე საუბრობს, მაგრამ თბილისის რეაქცია შენელებულ კინოკადრებს წააგავდა. ძნელი იყო ცხელი ზაფხულის განმავლობაში ცივი ზამთრის წარმოდგენა. მხოლოდ ზამთრის მოკაკუნებამ გვაიძულა, წლის დასაწყისის მსგავსად, ირანისაკენ მიგვეპყრო მზერა.

გასული თვის ბოლო დეკადაში საქართველოს ორი მინისტრი, საგარეო და ენერგეტიკის, სტუმრობდა ირანს. გაზთან დაკავშირებითაც შეთანხმდნენ, თუმცა არა ბოლომდე. ფასები დარჩა დასადგენი. სპეციალისტთა აზრით, თუკი ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ქართულ მხარეს სურს, ირანული გაზის მიღება მომავალი წლის მარტიდან იქნება შესაძლებელი.

„ამას წინათ თქვენები იმყოფებოდნენ სტუმრადო“, — განაცხადა პარლამენტარ გოჩა ფიფიასთან და წერილის ავტორთან ხანმოკლე საუბრის დროს ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერ მოტაკიმ, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მე-13 საერთაშორისო კონფერენციის გახსნის წინ. კონფერენცია 30-31 ოქტომბერს გაიმართა თეირანში.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია (შთოძ შედარებით ახალი რეგიონული ორგანიზაციაა, რომელიც 2001 წზლის 15 ივნისს იქნა დაფუძნებული შანხაიში 6 ქვეყნის: ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის მიერ. ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტერიტორია 30 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აჭარბებს, მილიარდ 455 მილიონი ადამიანით. ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ: ირანი, ინდოეთი, პაკისტანი და მონღოლეთი.

ორგანიზაციის შექმნას შემდეგი ისტორია უძღოდა წინ. ხუთ ქვეყანას: რუსეთს, ჩინეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს სურვილი გაუჩნდათ ერთმანეთში მოეგვარებინა სახელმწიფო საზღვრები. გარდა ამისა განემტკიცებინა მშვიდობა და სტაბილურობა რეგიონში. 1996 წელს შანხაიში, ხოლო 1996 წელს მოსკოვში, ხუთეულის შეხვედრამ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა რუსეთ-ჩინეთის სასაზღვრო მოლაპარაკებას, რომელიც წარმატებით დასრულდა. წლების განმავლობაში ორ ქვეყანას შორის არსებული საკამათო სასაზღვრო პრობლემები დაძლეულ იქნა.

ორგანიზაციის მთავარი მოქმედი ქვეყნები, ჩინეთი და რუსეთია. პეკინი და მოსკოვი ფრთხილად ზეიმობენ თავიანთ წარმატებულ თანამშრომლობას. ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოება, მოლაპარაკებათა გამართვის ტემპი და ხარისხი, ნათლად მეტყველებს ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების ერთმანეთისაკენ სწრაფვაზე. ჩინეთის მხრიდან ეკონომიკის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენერგორესურსებით უზრუნველყოფის საკითხს. ამ მხრივ თვით ორგანიზაციაა მდიდარი. მასში შემავალი ქვეყნები ცნობილია ნავთობისა და გაზის საბადოებით. ორგანიზაციის წევრებს ძალუძთ ჩინეთის ენერგეტიკის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც დაიწყო კიდევაც რუსეთ-ჩინეთის ენერგეტიკული მაგისტრალის მშენებლობით.

ენერგეტიკული საკითხები ორგანიზაციისათვის პრიორიტეტულია. ის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება მომავალში, როდესაც მასში გაწევრიანდებიან დღევანდელი დამკვირვებლები: ირანი, ინდოეთი, პაკისტანი და მონღოლეთი. თუ წინათ შანხაის ორგანიზაციას თავისი რიგების გაფართოების ნაკლები სურვილი ჰქონდა, დღეს ამ საკითხისადმი დამოკიდებულება სრულიად საწინააღმდეგოა.

ირანისათვის შთო-ში სრულუფლებიანი წევრობა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ შთო არ არის სამხედრო ბლოკი, ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უსაფრთხოების საკითხებს და, აქედან გამომდინარე, სამხედრო თანამშრომლობას. ორგანიზაციის დოკუმენტებში ასახულია წევრი ქვეყნების სურვილი ტერორიზმთან, რელიგიურ ექსტრემიზმთან და სეპარატიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებით. გარდა აღნიშნულისა, ირანს შანსი უჩნდება, მონაწილეობა მიიღოს ისეთ პროექტებში, რაც ნიშნავს თავისუფალ შეხებას თანამედროვე ტექნოლოგიასთან, გაზრდილ ინვესტიციასთან, ვაჭრობასთან და სხვა. ირანის უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთთან და რუსეთთან ერთ ორგანიზაციაში თანამშრომლობას.

შთო სერიოზულ ყურადღებას აქცევს ნარკოტიკების ტრანსპორტირებისა და გასაღების სა-



№ 219. ოთხშაბათი. 8 ნოემბერი. 2006 წელი.

# შინ და გარეთ

● შანხაის ორგანიზაციამ, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, დიდი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოში.

● პრეზიდენტები მხარს უჭერენ ნატოს ღია კარის პოლიტიკას და მიესალმებიან ალიანსის მიერ საქართველოსთან დაწყებულ ინტენსიურ დიალოგს.



◎ ევროპის მერიდიანებზე

## ესტონეთი ნატოს სამიტს მასპინძლობდა

**ესტონეთის პრემიერ-მინისტრი ანდრუს ანსიპი ნატოს შემდგომი გაფართოების ინიციატივით გამოდის. აღნიშნული განცხადება ანსიპმა ესტონეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრების წინაშე გამოსვლისას გააკეთა.**



„ჯერ კიდევ ათი წლის წინათ აცხადებდნენ, რომ ბალტიის ქვეყნები ვერ შეძლებენ ნატოში შესვლას. ამჟამად ჩვენი ქვეყანა ნატოს სამიტის მასპინძელი და ორგანიზატორია, რაც ნათელი სიგნალია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მიისწრაფვიან ნატოში გასაწევრიანებლად“, — განაცხადა ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ბალტიისპირელთა ერთობა

**ვილნიუსში ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და პოლონეთის პრეზიდენტებმა ერთობლივი პოზიციების მხარდაჭერისა და ურთიერთთანამშრომლობის განცხადებას მოაწერეს ხელი.**

პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ მათი ქვეყნების თამანშრომლობა ევროკავშირთან და ნატოსთან უნდა გაღრმავდეს და გაძლიერდეს. განცხადებაში პრეზიდენტები მიესალმებიან რიგაში 28-29 ნოემბერს დაგეგმილ ნატოს სამიტს.

პრეზიდენტები მხარდაჭერას გამოთქვამენ ნატოს ღია კარების პოლიტიკის მიმართ და მიესალმებიან ალიანსის მიერ საქართველოსთან დაწყებულ ინტენსიურ დიალოგს, უკრაინის სამხედრო ძლიერების ხელშეწყობას, რამაც უნდა განაპიროზოს ამ ქვეყნების ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ალტერნატიული არჩევნები

## თუ რას იტყვის საქართველოს ხელისუფლება, ეს მისი საქმეაო

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პარლამენტის სპიკერი იური ძიცოითი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაგეგმილ ალტერნატიულ არჩევნებში მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობას თვლის. „ე. წ. ალტერნატიულ არჩევნებში სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას.**

ამავე დროს ე.წ. ალტერნატიულ არჩევნებზე წავა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ოსი ეროვნების ლენინგორის რაიონის მოსახლეობა, რადგანაც იქ ჩვენი ხელისუფლება თითქმის არ ვრცელდება. ასევე ვვარაუდობთ, რომ ალტერნატიულ არჩევნებში ოსი ეროვნების იმ სოფლების მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას, რომელთა მოსახლეობის უმეტესობა ქართველებითაა დასახლებული“, — ამბობს ძიცოითი და დასძენს, რომ გამორიცხული არც ის არის, რომ ამ ე.წ. ალტერნატიულ არჩევნებში „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო ელექტორატმაც მიიღოს მონაწილეობა.

„საქართველო კი ამ არჩევნების ჩატარების შემდეგ ოს ხალხს ეტყვის. აი, დიმიტრი სანაკოევი, თქვენი პრეზიდენტი, სხვათა შორის ოსური არმიის გენერალი, ეროვნებით — ოსი, წარსულში სამხრეთ ოსეთის თავდაცვისა და პრემიერ-მინისტრი“, — ამბობს ძიცოითი და დასძენს, რომ ამით სამხრეთ ოსეთი ორად გაიხლიჩება და პოლიტიკური ვაჭრობა გაგრძელდება.

მისივე აზრით, ამ ალტერნატიული არჩევნების ჩატარებით, საქართველო სამხრეთ ოსი ხალხის, მისთვის სასურველი ნების გამოხატვას მიიღებს. არჩევნებში კი „მათ“ ამომრჩეველთა ასივე პროცენტი მიიღებს მონაწილეობას. მისივე თქმით, საქართველო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ამ ე.წ. ალტერნატიულ არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლები დაასწროს, მაგრამ მას ნუ ავიწყდება, რომ ჩვენც ასევე მოვიქცევით.

ჯი-ეიჩ-ენი



◎ ინფორმაცია

## ბათუმის საერთაშორისო

**ბათუმში პირველი საერთაშორისო კინოფესტივალი მიმდინარეობს, რომელშიც ქართულ ფილმებთან ერთად ავსტრიის, არგენტინის. აშშ-ის, ესტონეთის, გერმანიის, ბულგარეთის, საბერძნეთის, რუსეთის, საფრანგეთის, თურქეთის, ინგლისის, უკრაინის, ყაზახეთის, სერბეთისა და სლოვენიის ფილმებიც მონაწილეობს.**

**აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ალექსი ჩიკვაიძის განცხადებით, კინოფესტივალი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოსა და სხვა მონაწილე ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობების განმტკიცებაში.**

**ძირითადი კონკურსის გარდა, ფესტივალის პროგრამა არასაკონკურსო, რეტროსპექტიულ ჩვენებებსა და ქართული კინოს პანორამას მოიცავს.**

**საერთაშორისო ჟიური ფილმებს 6 ნომინაციაში შეაფასებს და გამარჯვებული ნამუშევრების ავტორებს ფესტივალის ქანდაკებას გადასცემს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ გლობუსი

# ორგანიზაცია და მისი პერსპექტივები

კითხებს, რეგიონი ესაზღვრება ნარკოტიკების მწარმოებელ ავღანეთს, რომელმაც ტალიბების რეჟიმის დამხობის შემდეგ, მკვეთრად გაზარდა ნარკოტიკების წარმოება. ორგანიზაციის წევრი ტაჯიკეთი, მთავარი ფარია ნარკოტიკების სატრანზიტო გზაზე რუსეთ-ევროპის მიმართულებით. მიმდინარე წელს, შანხაის საიუბილეო სესიაზე ხელი მოეწერა შთო-სა და ავღანეთს შორის სპეციალური კომისიის შექმნის ხელშეკრულებას.

შანხაის ორგანიზაციის შექმნამ და შანხაის სულისკვეთებამ საფუძველი ჩაუყარა ცენტრალური აზრის ახალ პოლიტიკურ იდეოლოგიას. შთო იმ იშვიათ ორგანიზაციათა რიცხვს განეკუთვნება, რომელშიც არ დომინირებენ აშშ-ი და დასავლეთ ქვეყნები. ორგანიზაციის პოლიტიკური იდეოლოგია მკვეთრად განსხვავებულია აშშ-ს და დასავლეთის ქვეყნების იდეოლოგიისგან, რაც გარკვეულ შეშფოთებას იწვევს აშშ-ში. ვითარების თავის სასარგებლოდ შეცვლის მიზნით აშშ-ი ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებზე გარკვეულ ზეწოლას აწარმოებენ, ორგანიზაციის დეზინტეგრაციის მიზნით, რაც სერიოზული გამოცდაა წევრი ქვეყნებისათვის. აშშ-ს გავლენისგან თავის დაღწევის მიზნით ორგანიზაციის წევრებს გრძელვადიანი პროექტების განხორციელება მიაჩნაით მიზანშეწონილად.

შანხაის ორგანიზაციის მიზნებია: ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთკავშირების ჩამოყალიბება, კეთილმეზობლური დამოკიდებულების შექმნა, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის გაფართოება; ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტურიზმის, ეკოლოგიის, ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში თანამშრომლობა. ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა წევრი ქვეყნების მეთაურების საბჭო, რომელიც წლის განმავლობაში ერთხელ იკრიბება. საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტსაც. გარდა სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურების შეხვედრისა, იმართება საგარეო, ეკონომიკის, ტრანსპორტის, კულტურის, თავდაცვის, სასაზღვრო სამსახურების და სხვა დარგების ხელმძღვანელთა შეხვედრებიც. შთო-ს 2 მუდმივმოქმედი ორგანო გენერალური სამდივნო და აღმასრულებელი კომიტეტის დირექტორატი, რომელთაც ირჩევენ სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს წევრები, 3 წლით.



შანხაის ორგანიზაციამ, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოში. ორგანიზაციის გაფართოება, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება, კიდევ უფრო დიდ ავტორიტეტს შეძენს მას არა მარტო ადამიანური რესურსების თვალსაზრისით — 2.8 მილიარდი, არამედ სწრაფად მზარდი ეკონომიკით.

თეირანის კონფერენციაზე ითქვა, რომ დღევანდელი მსოფლიო კოლოსალურ ინტრიგაშია ჩართული, რომლის სახელი — გლობალიზაციაა. ინტრიგა ინიცირებულია მსოფლიოს ისეთი ქვეყნების მიერ, რომლებიც განაგებენ ფინანსურ და ეკონომიკურ წყაროებს და რომელთაც გააჩნიათ საინფორმაციო-ტექნოლოგიური გასაღები ქვეყნების საშინაო ცხოვრებაზე ზეგავლენის მოსახდენად. გლობალიზაცია ემსახურება დიდ მოთამაშეთა ინტერესებს, იმათ, ვინც დიდ ფულს იხვეჭს სხვადასხვა პროექტების, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების განვითარებით. მთელი მსოფლიოს ენერგია სუპერ მდიდარი ქვეყნების კეთილდღეობისთვის მუშაობს. მდიდრები მდიდრდებიან, ღარიბები კი უფრო ღარიბდებიან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო რუკაზე გაბატონებული მონო-პოლარულობა ერთ სახელმწიფოს დიქტატის ქვეშ აქცევს დანარჩენ ქვეყნებს. ჩამოყალიბებული საინფორმაციო ველი პატარასა და დიდს, მძლავრსა და სუსტ ქვეყნებს შორის, შექმნილი ურთიერთდამაკავშირებელი სისტემა, საბოლოოდ ერთ სუპერ სახელმწიფოს, აშშ-ს ინტერესებს ემსახურება.

არსებულ პირობებში ერთობ საინტერესოდ მოსჩანს ირანის გამოცდილება საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებაში. მნიშვნელოვანია ირანის როლი სამოქალაქო, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. თვით იდენტიფიკაცია და მოდელი ტრადიციული სახელმწიფო მშენებლობისა, დაფუძნებულია უძველეს არიულ სახელმწიფოებრიობაზე. თანამედროვე ირანი, მყარი სულიერი ზნეობით და მედგარი, მტკიცე საზოგადოებით, ახალ ცხოვრებას აშენებს. ეროვნული და რელიგიური ორიენტაციის თვალსაზრისით, ირანმა კარგა ხანია გააკეთა თავისი არჩევანი. გლობალიზაციამ, სუსტი და განვითარებადი ქვეყნების დათრგუნვის ინსტრუმენტებმა ვერაფერი დააკლო ირანს. ირანი ცხოვრობს თავისი უნიკალური ეკონომიკური მოდელით, რაც სულაც არ ნიშნავს მსოფლიო ტექნო-ეკონომიკურ მიღწევებზე უარის თქმას.

თანამედროვე ირანის მაჯისცემა კარგად ჩანს გიგანტი დედაქალაქის, თეირანის ცხოვრებიდანაც. 15 მილიონიანი მეგაპოლისი განვითარებული სატრანსპორტო მაგისტრალებით, ესტაკადებით, სუპერ-ჰაივეებით, მწვანე ზოლებით, პარკებით, ფუნდამენტური თანამედროვე არქიტექტურით, არაფრით გამოირჩევა ევროპული ქალაქებისგან. თეირანშიც ისეთივე პრობლემებია ტრეფიქთან დაკავშირებით, როგორც მსოფლიოს დიდ ქალაქებში. აქაც ვერ აუდის ოთხხაზიანი ცალმხრივი მოძრაობა მოჭარბებულ ტრანსპორტს. თეირანის მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას უტოლდება. თვალში საცემია ამ უზარმაზარი ქალაქის სისუფთავე, გზის საფარის ხარისხი. უცხოა ყაყანი, ჩხუბი, გამომწვევი მოქმედება, უხეშობა, მათხოვრობა. 70-მილიონიანი ირანი მიზანმიმართულად, ყოველგვარი ფაციფუცის, მოჩვენებითი სიჩქარის გარეშე მტკიცედ მიიწევს წინ. ნაკლებად თუ მოიძებნება დარგი, რომელიც განვითარებული არ იყოს ამ ქვეყანაში. მძიმე და მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობა, ავტომშენებლობა და ჩარხმშენებლობა თვალსა და ხელს შუა იზრდება. ირანში ჩემი ბოლო სტუმრობიდან, მხოლოდ სამი წლის გავლის შემდეგ, წინსვლა თვალში საცემია. აქ არ შეინიშნება ის დაძაბული ვითარება, რასაც სისტემატურად იხილავთ სი-ენ-ენის ან ევრონიუსის ეკრანებზე, ირანთან დაკავშირებით. არც ირანის ტელეარხებია გადატვირთული ქვეყნის სულიერი ლიდერის აიათოლა ჰამენეის ან პრეზიდენტ აჰმადინეჯადის სიუჟეტებით. ბელადომანიის ელემენტები ირანში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჩვენში.

ისტორიულად ახლომყოფი, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაში დაშორებული ირანი მეტი ინტერესის გამოვლინებას მოითხოვს ჩვენგან. ვიმედოვნებ, რომ ირანთან თანამშრომლობა წაადგება ორი ქვეყნის ინტერესებს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

- არც მთლად ისე ყოფილა საქმე, რამდენიც გინდათ, წერეთ და იკითხეთო, ჟურნალისტებს რომ გვაგრძნობინებენ მავანნი – ჩვენი გაზეთის რამდენიმე პუბლიკაციამაც შეასრულა დადებითი როლი სამართლის „დაპყრობაში“.
- ეეხ, ჩვენო „თეთრო ტაძარო,“ რა იყავი და რად გადაგაქციეს!

№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# სამართალი, რომელმაც 11 წლით დაიგვიანა

## კანონზე მოტეკვავე აკადემიკოსი და უკანონობით გაწამებული ადამიანები

*სამართალმა პური ჭამა, სიმართლემ ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვა, მაგრამ 11 წლის დაგვიანებით. თუმცა ისეთ ქვეყანაში და ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ესეც დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.*

*ლაპარაკია კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას ყოვლად გაუგონარ, მიუნჯაუზენურ ქმედებებზე, რომელზეც არაერთგზის ვწერდით ჩვენს გაზეთში, მასთან ერთად ვაკრიტიკებდით სამართალდამცავი ორგანოების უნიათობასაც, მაგრამ ეს ყველაფერი მთავრდებოდა უშედეგოდ. როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, „ძაღლი ყეფდა, ქარავანი გზას აგრძელებდა“.*

ხშირად გამიგია, ჟურნალისტებს გაფრენილი ლაპარაკი უყვართო. კი ბატონო, ვთქვათ, ჟურნალისტები ვცდებით, ტყუილუბრალოდ ბრალს ვდებთ უმანკო ზნეობის აკადემიკოსს, მაგრამ სამართალდამცავები? ნუთუ ისინიც ცდებიან?

აგერ არის, ბატონებო, მაშინდელი გლდანის რაიონის პროკურატურის დადგენილება: **საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრის 1992 წლის 23 ოქტომბრის №337 ბრძანებით, საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (დირექტორი ნუგზარ ბაღათურიაძ ცალკე იურიდიული პირის უფლებით გამოეყო ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა ლაბორატორია. მან გაიარა სათანადო რეგისტრაცია და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ იურიდიულ პირად.**

პროკურატურამ კი დაადგინა, მაგრამ აკადემიკოსმა ბაღათურიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვადასხვა ავტორიტეტული ინსტანციებიდან წერილობით მიეთითა, რომ ბრძანება გაცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით. **1992 წლის 9 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ ძალაში დატოვა №337 ბრძანება.** არც ეს ჩათვალა კანონიერად ბაღათურიამ და ბუნებრივია არც შეასრულა. არ შეადგინა ქონების გაყოფის უწყისი. პირიქით, 1993 წლის აპრილ-მაისში გამოსცა ბრძანებები აღნიშნული ლაბორატორიის ლიკვიდაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით თანამშრომელთა განთავისუფლების შესახებ. 1995 წლის ივლისში კი გამოსცა ახალი ბრძანება ლაბორატორიის დალუქვის შესახებ, რაც აღასრულა კიდეც. ლაბორატორიის კარები ჩაკეტა, თანამშრომლები კი ქუჩაში გამოყარა და უსახსროდ და ულუკმაპუროდ დატოვა.



პროკურატურა ახლა კი გაცხარდა, ეს რა თავზეხელაღებული ვინმე ყოფილაო და **თვითნებობისა და თანამდებობრივი უფლების გადამეტებისათვის 1998 წლის ივლისში ნუგზარ ბაღათურიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.** თუმცა რა, აკადემიკოსმა ამჯერადაც უგანა მოვალეობასა და ზნეობას და პროკურატურას მთელი სამი თვის მანძილზე დასაკითხად ახლოსაც არ გაეკარა. მას თავისი საქმე ჰქონდა – მიზანდასახულად აგრძელებდა დამოუკიდებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების ექსპანსიას.

**იმის მაგივრად, რომ ინსტიტუტში გაეწიათ ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, დაესაქმებინათ მეცნიერები და სპეციალისტები, პირიქით მოიქცნენ – დახურეს ლაბორატორიები, მუშაკები ქუჩაში გაყარეს, ოთახები კი წალმა-უკულმა გააქირავეს. ასე გაიხსნა ინსტიტუტში ლიმონათის საამქრო (დირექტორის მიერ კარჩარაზულ ბავშვთა კვების სპეცლაბორატორიაშიძ, პურის საცხობი, ავტოპროფილაქტორიუმი, სათადარიგო ნაწილების მაღაზია, ჰალვის საამქრო და, თქვენ წარმოიდგინეთ, სანოტარო კანტორაც კი (დამქირავებლებმა ხელშეკრულების დასამოწმებლად შორს რომ არ ირბინონძ. აკადემიკოსი იმდენად გაიწაფა ამ საქმეში, რომ ერთ მშვენიერ დღეს სხვისი, თბილისის საკონსტრუქტორო ბიუროს, შენობაც კი გააქირავა და შიგ ავტოპროფილაქტორიუმი მოაწყო(?!).**

ყველაფერს ვერ მოყვები. ან რა ქაღალდი დაიტევს ნუგზარ ბაღათურიას ოინბაზობებს, „საქვეყნო პატრიოტულ საქმეებს“ კაცისას, რომელმაც დევნილებიც კი არ დაინდო. **მან, როგორც პარლამენტარ ელენე თევდორაძისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ, არ შეასრულა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 დეკემბრის დადგენილება, დაარღვია ინსტიტუტის ფართობში განთავსებულ დევნილთა უფლებები, შელახა მათი ღირსება, არ დაინდო ბავშვებიც კი, რომლებსაც გაუჩნდათ შიშის სინდრომი. ბაღათურიამ დევნილთა ოჯახები დატოვა უშუქოდ, უწყლოდ, უმწეო ადამიანებს მიაყენა მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა.**

ამ ფაქტზე რეაგირებისათვის ქალბატონმა ელენე თევდორაძემ მიმართა მაშინდელ ქონების მართვის სამინისტროს, რომელმაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დასვა საკითხი ბაღათურიას თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ, თუმცა მისთვის ბუზიც არავის აუფრენია.

მთელ ამ ვაკხანალიაში შედარებით ობიექტურად გამოიყურება კონტროლის პალატა, რომელიც ითხოვდა ბავშვთა კვების ლაბორატორიის აღდგენას, ხოლო როცა დადასტურდა კვების მრეწველობის ინსტიტუტისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის ქონების მიღება-ჩაბარების ყალბი აქტის არსებობა, მასალები გადასცა პროკურატურას. **თუმცა რა, ბაღათურიას მიმართ 2003 წლის 1 აპრილს მართალია აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ პროკურატურამ იგი მალევე შეწყვიტა,** ხოლო უზენაესმა სასამართლომ, მ. ტურავას თავმჯდომარეობით, ნ. ბაღათურია ჭაობიდან კვლავ მშრალზე გამოიყვანა.

თუმცა ნავსი მაინც გატყდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 25 ივლისის განჩინებით, წერტილი დაესვა ბავშვთა კვების პატარა ლაბორატორიის წინააღმდეგ კვების მრეწველობის ინსტიტუტისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გააუთავებელ, ყოვლად უზნეო თერთმეტწლიან ბრძოლას. ლაბორატორიამ ამდენი ჯახირის შემდეგ იურიდიული პირის სტატუსი, როგორც იქნა, აღიდგინა.

– ეს ყველაფერი გასაგებია, – მეუბნება უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაჭაღარავებული ლაბორატორიის ხელმძღვანელი დევი ლობჟანიძე, – მაგრამ კვლავ გაუგებარია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პოზიცია, რომელიც ჯიუტად იმეორებს თავის გაცვეთილ ფრაზას – ლაბორატორია კვების მრეწველობის ინსტიტუტს გადავეცი და იმის დაქვემდებარებაში უნდა იმუშაოსო. პირდაპირ საოცარია, უკანონობის ჭაობს ძლივს დააღწია თავი ლაბორატორიამ და ისევ იქითკენ უბიძგებენ. აკადემიკოსებს იმდენიც ვერ გაუგიათ (ხელფასებს კი დიდს იღებენ), რომ დღეს მათ დაქვემდებარებაში აღარც ინსტიტუტი შედის და, ბუნებრივია, აღარც ლაბორატორია, რომელმაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული პირის სტატუსი დაიბრუნა. **ამით უზენაესმა საბოლოოდ დაასამარა „აკადემიკოსთა“ ოცნება – უკვალოდ გაექროთ ბავშვთა კვების ლაბორატორიაც და მისი თანამშრომლებიც.**

**სხვებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ გასრულდა ბავშვთა კვების ლაბორატორიასთან მიმართებაში აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას მიერ გაწეული საქმენი საგმირონი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამჯერად საბოლოოდ, რაშიც არც თუ ცოტა წვლილი ჩვენს გაზეთსაც მიუძღვის.**

**ოთარ ხუციშვილი.**

◎ რეპლიკა

# ნახევარსაქმე

## მაინც, ვინ ჩაიბარებს წიგნებს?

**რამდენიმე დღეა, საქართველოს ტელევიზიით გადასცემენ განცხადებას, პატიმრებისათვის წიგნები მოიტანეთო. ერთ-ერთ მისამართად მითითებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი.**

კეთილშობილური ჩანაფიქრია! მეც ავდექი, მოვიძიე ათამდე საკუთარი წიგნი, გავუკეთე ერთადერთი წარწერა **„სიცოცხლე ძალიან ლამაზია... იფიქრეთ!“** და გავუდექი გზას „თეთრი ტაძრისკენ“. ჩემი წამებაც ამის შემდეგ დაიწყო. პირველი, ვინც შემომხვდა, დაცვის მუშაკი იყო. ვკითხე, ასე და ასეა ჩემი საქმე, ვის მივაკითხო, წიგნები ვის ჩავაბარო-მეთქი. მხრები აიჩეჩა, ვერაფერს გეტყვითო. ახლა გაზეთების ჯიხურს მივადექი. ხანდაზმულმა ქალბატონმაც რომ ვერ დამაკვალიანა, განცხადების დაფა საგულდაგულოდ გადავაბულბულე. რას აღარ იუწყებოდნენ – დისერტაციების დაცვას, შემოქმედებით საღამოებს, ფეხბურთელთა გუნდის ჩამოყალიბებას, წიგნების შეგროვებაზე კი არსად არაფერი იყო ნათქვამი. ახლა კანცელარიისკენ გავწიე, თუ ეცოდინებათ, უეჭველად იქ ეცოდინებათ-მეთქი. თვალმახარა ქალბატონი შეწუხდა, უკვე მერამდენე ხართ, არც კი ვიცი, მაგრამ ჩვენთვის არავის არანაირი ცნობა არ მოუწოდებიაო. იქვე გაიკითხ-გამოიკითხა და გაარკვია, რომ უნდა მივმართო სტუდენტთა თვითმმართველობას, უფრო კონკრეტულად – ტარიელ კვიციანს. ოთახიდან გამოვიდა და დაწვრილებით ამიხსნა, საით უნდა წავსულიყავი.

სტუდენტთა თვითმმართველობაც ვიპოვე, მაგრამ ბატონი ტარიელ კვიციანი ადგილზე არ დამხვდა. გოგონამ, რომელიც კომპიუტერს უკირკიტებდა, ყურადღებით მომისმინა და... ცივი წყალი გადამასხა – წიგნებს ჩვენ არ ვიბარებთ და ვის უნდა მიმართოთ, ვერც მაგას გეტყვითო. ცოტა არ იყოს, გული მომივიდა, ვინც ტელევიზიას განცხადება მიაწოდა, რატომ პიროვნებაც არ მიუთითა-მეთქი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი წიგნებიანად უკან გამოვბრუნდი.

სამსახურში უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი გურამ ასათიანი დამხვდა. შევჩივლე, ასე დამემართა, იმ კაიდელმამიშვილებმა ასეთი უპასუხისმგებლობა რატომ გამოიჩინეს-მეთქი. ჩაიცინა და მითხრა. ამ რამდენიმე დღის წინ მოხუც ქალბატონს გადავაწყდი, ორი ჩანთით წიგნები მოეტანა და ამაოდ დაბორიალობდა დერეფნებში, წიგნის მიმღები ვერ მოეხელთებინაო. გავყევი და მეც ბევრი ვიწრიალე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ერთი გულისხმიერი კომენდანტი გვყავს, ნოდარ ბლიაძე, იმას დავუტოვე. დღესაც არ ვიცი, წიგნებმა მიაგნო თუ არა ადრესატს...

უნებურად გამახსენდა პატარა ინციდენტი, რამდენიმე წლის წინათ უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორთან როინ მეტრეველთან რომ შემემთხვა. ცნობილი ლიტერატურის კრიტიკოსის ნოდარ ჩხეიძის მოსაგონარი საღამო იყო. ბატონი ნოდარი ჩემი ლექტორი გახლდათ. გავიხსენე, ფეხბურთის გამო როგორ დააგვიანდა ლექციაზე, მაგრამ სტუდენტებმა ფეხი არ მოვიცვალეთ, რითაც ფრიად შეწუხებულ ლექტორს ძალიან ვასიამოვნეთ. როცა ამას ვყვებოდი, წინა რიგში მჯდარი რექტორი ღიმილით მისმენდა. ჩემდა ჭირად ასეთი რამ ვთქვი – ბატონო როინ, მაშინ სტუდენტებსა და ლექტორებს შორის რაღაც სხვანაირი დამოკიდებულება იყო-მეთქი. ბატონმა როინმა იწყინა, არც ახლა გვაქვს ცუდი ურთიერთობა და შეურაცხყოფას რატომ გვაყენებო. ჩემს პროტესტს ის შედეგი მოჰყვა, რომ კათედრაზე ასულ რექტორს დარბაზიდან დაუძახეს, რაც სტუმარმა ბრძანა, ყველაფერი მართალიაო.

ახლაც ვფიქრობ, რომ „რაღაც ვერ არის რიგზე დანიის სამეფოში“ რაც ახლა უნივერსიტეტში ხდება, ყველას მოეხსენება. გაუთავებელ ბაქქანალიას ემატება როგორც სასწავლებლის ხელმძღვანელთა უნიათობა, ისე უპასუხისმგებლობა. ასე რომ არა, წიგნებთან დაკავშირებული „პატარა“ გაუგებრობა არ მოხდებოდა. ეტყობა, ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბატონი როინ მეტრეველი შემომწყრა...

იქნებ ვცდები?

ეეხ, ჩვენო „თეთრო ტაძარო,“ რა იყავი და რად გადაგაქციეს!

**ელგუჯა ლებანიძე**

- ვის არ მისცა ღმერთმა სიბერის ნიჭი და ვინ დარჩება მუდამ ბებერ ბიჭად?
- რა საკითხები განიხილეს „პარლამენტარებმა“ მორიგ სხდომაზე?

◎ გზადაგზა ნაპოვნი სურათები

# რეპორტაჟი „წოპეს პარლამენტიდან“

**ზამთრისპირი დგას „ალექსანდრეს“ ბაღში – ხან წვიმიანია, ხან ქარიანია, ხან დარიანია... დარში „პარლამენტის“ წევრები ბებერ ძვლებს ვითბობთ – ძელსკამებზე ისეთ მხარეს მოვკალათდებით ხოლმე, მზე რომ დანათის, თითქოს, აგერ, გუშინ არ ყოფილიყოს ხვატი და ალაო...**

– რა მალე გადის ეს დრო, ამის დედა ვატირე... მგონი, დედამიწამ ბრუნვას მოუმატა, – თითქოს ყველას სათქმელს ამბობს ირაკლი, მაგრამ „წოპე“ მაინც ცივ წყალს ასხამს: – მოუმატა არა, ფლავი... თავდაღმართში მივექანებით ძმაო, თავდაღმართში და გვგონია, რომ მალე გადის დრო!.. აღმართში რომ ადიოდი, რატომ მიიზლაზნებოდა?!

„წოპე“ მართალია, როგორც ყოველთვის. გუშინ მისი იუბილე ვიზეიმეთ, 71 წელი მივულოცეთ, აქვე, ბაღში ავწიეთ თითო ჭიქა და გული გავუხალისეთ ჩვენს „სპიკერს“. მისი მეგობრები, მისი თაობა, ძველი თბილისელები თანდათან მიდიან, „წოპე“, ცხადია, გულდაწყვეტილია, მაგრამ, ჯანდაბას, ჯანმრთელობა იყოს და, რაც არი, ეგ არიო, ამბობს, კაი ვსვი, კაი ვჭამე, „მაყუთსაც“ ბლომად ვშოულობდი, ცუდკაცობა არ ჩამიდენია... ბაღში და ფეხდგომელა კი არ უნდა ვსვამდეთ, რესტორანში უნდა გპატიჟებდეთ, მაგრამ, რა ვქნა, პენსიას ვარ შეჩერებულიო, ბოდიშობს იგი.



– რა ვიცი, პრეზიდენტი კი ძალიან გიყვარს და, ვერ მოგიმატებს პენსიას?!. – „შხამავს“ ოთარი.

– მე საქართველოს პრეზიდენტს ვცემ პატივს ბიძია, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს, თვარა, გინდა მიშა იყოს და გინდა გრიშა, რა მნიშვნელობა აქვს, – არ ეპუება „წოპე“.

– მნიშვნელობა იმას აქვს, თუ როგორ უძღვება ქვეყანას ეს შენი პრეზიდენტი. საინტერესოა, ერთი, რას უპირებს ხალხს ამ ზამთარში. გაზის გაძვირებას რომ ყველაფრის გაძვირება მოჰყვება, ამაზე ფიქრობს მაგი და მაგის მთავრობა?! რუსეთს თან აგინებს, თან გაზი უნდა იაფად!... ეგრე სად არის! ღმერთო, გვიშველე!... – ოთარმა ცას ახედა და ჭიქა გამოსცალა.

– არა, არა ოთარ!... ფაქტია რომ რუსეთისა და პუტინის სახე ნაღდად დაანახა მიშამ მთელ მსოფლიოს, სუფთად მოუგო ძმაო, საინფორმაციო ომი, – ეს ელგუჯაა, ძაღლს რომ ასეირნებს ხოლმე დილაობით და კამათისას ზომიერი პოზიცია უჭირავს.

– აუ, მოკვდება, ბიჭო, ჯავრით პუტინი!... გაკიცხავენ და გაჩერდებიან!... რუსეთის ენერგომომცველებით საზრდოობს მთელი ევროპა!.. ფეხებზე არ ჰკიდიათ საქართველო?!. ახლა, მგონი, სანაკოევს გვიმზადებენ კოკოითის მაგივრად... ისე, ცეკვა მაგარი სცოდნია... ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა და ახლა სიყვარულს გვეფიცება... რა დავაშავეთ ასეთი, ამ ერთ ციცქნა ქვეყანას შეიძლება სამი პრეზიდენტი ჰყავდეს?!, – რამაზი ცხელი ლავაშის ნატეხს ყველს ატანს.

იუბილარი „წოპე“ ჩვენს კამათს აღარ უსმენს, შორიახლო „დობერმანს“ ასეირნებს ერთი გვარიანად მიმზიდველი ქალბატონი და „წოპეც“, როგორც ძველი არშიყი (ასე ვიცით ქალაქიდან), რა ბიჭია, რომ მომენტი გაუშვას?...

– იუბილარო, მოიხედე აქეთ! დაანებე თავი გან-განზე ყურებას, თითქოს რაიმეს თავი გქონდეს, – აფხიზლებს მიშა.

– რა ვქნა, მიშა, დავაშავე რამე?... ეს ოხერი, ან ქალი არ იყოს, ან თვალი არ იყოს!.. თქვენ დალიეთ, მე მაცალეთ, დღეს ხომ ჩემი დღეა.

ქარმა შემოუბერა, ქვაფენილზე ჭადრისა და ნეკერჩხლის შეყვითლებულ-შეწითლებული ხმელი ფოთლები ააშრიალა და ზამთრისპირის მოძალება ისევ შეგვახსენა „ალექსანდრეს“ ბაღის „პარლამენტის“ წევრებს.

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ ყმაწვილმა უნდა იცოდეს!...

# „მხოლოდ თბილისში თუ შეიძლება, იყოს უბანი და ერქვას ვერა“

**ამ წელიწადნახევრის წინათ, „ასავალ დასავალის“ რედაქციაში, შემთხვევით ბატონ გიზო ნიშნიანიძეს შევხვდი, გამოვეცნაური, ძია მოსეს შვილთა შვილი ვარ-მეთქი. გულით გაიხარა.**

აქ არ დავიწყებ იმის ახსნას, ვინ იყო „ძია მოსე“. ახლანდელები მაინც ვერაფერს გაიგებენ. ძველების, გიზო ნიშნიანიძის თაობისთვის, ვისაც თბილისის უნივერსიტეტთან რამე შეხება ჰქონია, ზედმეტია ამის შეხსენება. იქვე ვთხოვე, თქვენი წიგნი „პაემანი ვერაზე“ მისახსოვრეთ-მეთქი.

ამდენი ხანი გავიდა და ამ ორიოდე დღის წინათ გავბედე, დავურეკე და დანაპირები შევახსენე. ჩუქებაც არის და ჩუქებაც. მეორე დღეს თავად დამირეკა – სად გნახო, მანქანით ვარ და გამოგივლიო (აი, მაღალთა თავმდაბლობის ნიმუში, რაც ასე აკლია დღევანდელ ზოგიერთ თინეიჯერ თანამდებობის ამპარტავან პირს.ძ „კომუნისტის“ რედაქციის წინ დავთქვით პაემანი (რა ვქნა, დღემდე ვერ მოვეჩვიე ახალ სახელებს – ჩემთვის ალმაშენებლის გამზირი, ისევ პლეხანოვია და ა.შ).

მალე ბატონი გიზოს ვერცხლისფერი მანქანაც გამოჩნდა. იქვე ვაშლოვანის ქუჩაზე, შევუხვიეთ და ნახევარი საათი ვისაუბრეთ. თუმცა სიტყვა „ვისაუბრეთ“, ამ შემთხვევაში პირობითია. მამის ტოლი კაცი ლაპარაკობდა და მე ვუსმენდი ძველი ვერელების ერთ-ერთ უკანასკნელ მოჰიკანს.

„ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი, დავრჩები მუდამ ბებერი ბიჭიო“ შემახსენა თავისი ლექსი და იქვე დასძინა – თუ ეს ბიჭობა, მომავალ მაისამდე მიმყვა, „პაემანი ვერაზე“ 25 წლისა გახდება და განახლებული ვარიანტი მინდა შევთავაზო თბილისელებს ფილარმონიის დარბაზშიო. სცენარი თითქმის მზადა მაქვს და ამ დღეებში მოგაწვდი, წაიკითხე, იქნება რამე ჩაამატოო (ესეც თავმდაბლობაა, თორემ მე რისი ჩამმატებელი ან გამომკლებელი ვარ).





ამ წერილს ინტერვიუს მაგივრად ვწერ. წიგნიც მაჩუქა ავტოგრაფით, რომლის შინაარსს აქ არ მოვიტან. უბრალოდ, ვიტყვი, რომ რაც წერია, ჩემს მიმართ გაცემულ ავანსად უფრო მივიღე, ვიდრე არსებულ რეალობად.

ყველას თავისი თბილისი მოსწონს, მაგრამ მე რატომღაც ჩემი თაობის მამების თბილისს უფრო შევნატრი, რომელსაც სამარადჟამო ძეგლი დაუდგა ბატონმა გიზომ თავისი წიგნით. მჯერა, დიდხანს გაჰყვება „სიბერის უნიჭობა“ და არა მარტო მომავალ მაისამდე, როდესაც გადაჭედილ ფილარმონიის დარბაზში შედგება ახალი „პაემანი ვერაზე“. თბილისი მართლაც სინათლის ქალაქად აქცია ამ ხელისუფლებამ. ამას ვერ დავუკარგავ, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ბევრის სულში წყვდიადია და მჯერა, მომავალ მაისს ეს წყვდიადი ერთ საღამოს მაინც განათდება ფილარმონიის დარბაზში.

ჩემი შვილების თაობას და უფრო პატარებსაც, რომლებიც კომპიუტერების გამო წიგნთან მწყრალად არიან, ვურჩევ, თუ წიგნს არ წაიკითხავენ, მომავალ მაისს ტელევიზიით მაინც უყურონ „პაემანს ვერაზე“, რათა იცოდნენ – „ჩვენმა ქალაქმა, რა სურათები მოქარგა უწინ“.

**დავით მხეიძე**

◎ ინფორმაცია

## აბიტურიენტების მშობლებს ფული წყალში გადაეყარათ

**აბიტურიენტებს, რომლებიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისთვის ემზადებოდნენ, დრო, ენერგია და შესაბამისი საგნების მომზადების ფული წყალში ეყრებათ, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ. მისივე თქმით, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებით საქართველოს პრეზიდენტი, განათლების მინისტრი ლომაია და მისი ოლიგარქი ნათესავები არიან დაინტერესებულები, რადგან ტექნიკური უნივერსიტეტი პრესტიჟულ უბანში მდებარეობს“.**

**აღნიშნული საფრთხე, ძაგანიას აზრით, პირველი და მაღლივი კორპუსების გარდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილ კორპუსებსაც ემუქრება.**

**ინტერპრესნიუსი**

## აჟღერებული „შემოქმედთა სკოლა“

**არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით საგალობლების ახალი კრებული სახელწოდებით „ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედთა სკოლა“ გამოიცა.**

**კრებული ანჩისხატის ტაძრის გუნდის მგალობელის დავით შუღლიაშვილის ავტორობით გამოვიდა.**

**არტემ ერქომაიშვილმა განაცხადა, – იმის გამო, რომ საქართველოში მგალობლები აღარ არსებობდნენ, 1966 წელს საგალობლები ცალ-ცალკე ხმებში თავად ჩაწერა. ეს პროცესი თბილისის კონსერვატორიაში განხორციელდა. „კრებულთან ერთად, რომელშიც 118 საგალობელი შევიდა, კომპაქტ-დისკიც გამოიცა. მასში საგალობლები ანჩისხატის მგალობელთა გუნდის შესრულებით შევიდა“, – განაცხადა შუღლიაშვილმა.**

## ქუთაისი ზამთრისთვის ემზადება

**სს საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ზამთრის პერიოდში (გაზრდილი მოხმარების პირობებშიძ ქუთაისის ელექტრო-ქსელის გამართულად მუშაობისთვის.**

**ქუთაისის მომსახურების ცენტრის ტექნიკური სამსახურის მიერ ქალაქის რიგ უბნებში ამორტიზებული ან ავარიული ქსელის რეაბილიტაციის მიზნით გამოცვლილი იქნა 650 მ. მაღალი ძაბვის და 3400 მ. დაბალი ძაბვის კაბელი; 7000 მ. საჰაერო ხაზი; დაიდგა 53 ახალი ელექტრობოძი და ა.შ.**

**პარალელურად, სატრანსფორმატორო ჯიხურები არალეგალურად გადაყვანილი ხაზებისგან გაიწმინდა. წლების წინათ მომხმარებლების მიერ ხაზების გადაყვანა ტექნიკური ნორმების დარღვევით, არალეგალურად ხდებოდა, რაც გარდა იმისა, რომ რეალურ საფრთხეს უქმნიდა ადამიანთა სიცოცხლეს, ამახინჯებდა ქალაქის იერსახეს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

- **რუსეთი მსოფლიო ენერგეტიკაში წამყვანი მოთამაშეა. ევროპას სჭირდება ენერგია და რუსეთთან თანამშრომლობს მის მისაღებად**
- **კარგა ხანია გაიყარა საქართველოსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გზები**



№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# არგონავტები დაეხმარებიან



**მიმდინარე კვირას შეიძლება გამოქვეყნდეს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების პროექტი, რომელშიც მონაწილეობენ რუსეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ბურგას-ალექსანდრუპოლისის ნავთობსადენის გაყვანა, რომლითაც უნდა განხორციელდეს ნოვოსიბირსკში მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირება ევროპაში. რუსეთი მიიღებს აქციათა 51 პროცენტს, ბალკანელი პარტნიორები კი – 49 პროცენტს. ათენში რუსეთის და ბულგარეთის პრეზიდენტების, აგრეთვე საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი დეკლარაციის თანახმად, ასეთი ხელშეკრულება უნდა დაიდოს 2006 წლის დამლევამდე. ჩვენი კორესპონდენტი ამის თაობაზე ესაუბრა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, რუსეთ-საბერძნეთის სამთავრობათშორისო კომისიის თანათავმჯდომარეს ევრიპიდის სტილიანიდისს.**

**– ჩვენი ბოლო შეხვედრიდან ერთ წელიწადზე მეტი დრო გავიდა. როგორ ვითარდება რუსეთ-საბერძნეთის ურთიერთობა?**

– ჩვენი პოლიტიკური კონტაქტები ძალზე განმტკიცდა და ახლა მათ, შეიძლება ითქვას, უმაღლეს დონესაც მიაღწიეს. მოქმედებს რუსეთ-საბერძნეთის სამთავრობათშორისო კომისია, რომელსაც რუსეთის მხრიდან ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მინისტრი ალექსი გორდეევი. მიმდინარე წლის განმავლობაში ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის დაიდო შეთანხმებები ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის სფეროებში.

ენერგეტიკაში მივაღწიეთ სტრატეგიულ პარტნიორობას. ეს ჩანს კიდეც ბურგას-ალექსანდრუპოლისის ნავთობსადენის პროექტის მაგალითიდანაც. 13-წლიანი უმოქმედობის შემდეგ აშკარაა მნიშვნელოვანი წარმატებები. არანაკლებ შთამბეჭდავია მიღწევები ორმხრივ ვაჭრობაში. რუსეთის კაპიტალი საბერძნეთში აბანდებს ინვესტიციებს მაღალ ტექნოლოგიებში, საბანკო მომსახურებაში. ბერძნული ინვესტიციები რუსეთში ძირითადად მოიცავს მშენებლობის, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროებს. საბერძნეთმა მაქსიმალურად გაამარტივა რუსეთელებისთვის ვიზების გაფორმების პროცედურა და რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების რიცხვიც ერთბაშად გაიზარდა. საბერძნეთის მოსკოვის საკონსულო ყოველდღიურად დაახლოებით 3,5 ათას ვიზას გასცემს.

**– ევროკავშირში ზოგი რუსეთს ხანდახან ენერგეტიკულ შანტაჟში ადანაშაულებს...**

– რუსეთი მსოფლიო ენერგეტიკაში წამყვანი მოთამაშეა. ევროპას სჭირდება ენერგია და რუსეთთან თანამშრომლობს მის მისაღებად. საბერძნეთი კი, როგორც ევროკავშირის წევრი და რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა, ცდილობს ამ პროცესში შუამავლის როლის შესრულებას. ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირი ხელმძღვანელობს ორი პრინციპით – ენერგორესურსების წყაროების და მათი მიწოდების მარშრუტების ალტერნატიულობა და სხვადასხვა სახის ენერგიის გამოყენების აუცილებლობა. ევროპული აზროვნებისთვის მიუღებელია მონოპოლია ნებისმიერ სფეროში. მაგრამ ეს არ აკნინებს რუსეთის როლს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თქვენს ქვეყანას აქვს ყველა სახის ენერგიის უზარმაზარი მარაგი, და მეორეც – რუსეთის გარეშე ვერც ერთი ალტერნატიული წყარო ვერ დააკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნილებას.

**– რა იდეას ისახავს საბერძნეთში შემუშავებული პროექტი, რომელსაც ეწოდება „არგონავტების გზა"?**

– ეს არის მაგისტრალი, რომელიც შექმნის ერთიან რეგიონულ ბაზარს, შეუწყობს ხელს ვაჭრობის, ტურიზმის, პოლიტიკური და კულტურული კავშირურთიერთობის განმტკიცებას. მაგისტრალის სიგრძე დაახლოებით 7.000 კილომეტრი იქნება, და მისი გაყვანის მარშრუტი მნიშვნელოვანწილად ემთხვევა ნავთობ და გაზსადენების, ელექტროენერგეტიკული რგოლის ხაზების მიმართულებას. ავტომაგისტრალის მრავალ მონაკვეთზე მშენებლობა უკვე დასრულებულია.

„არგონავტების გზა" გაივლის მოლდავეთის და საქართველოს კონფლიქტურ ზონებშიც. იმედი გვაქვს, რომ იქ იგი შეასრულებს „მშვიდობის გზის" როლს, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუქმნის პირობებს ერთობლივი მოქმედებისათვის. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ პროექტის სიმბოლოდ შევარჩიეთ მითი არგონავტების შესახებ, რომლებმაც აღმოაჩინეს ახალი ჰორიზონტები და ახალ დონეზე დააყენეს სამყაროს აღქმა. ეს არის ის, რაც გვჭირდება შავიზღვისპირა რეგიონში.

**– საბერძნეთის მეზობლად მდებარეობს კიდევ ერთი კონფლიქტური რეგიონი – კოსოვო...**

– დასავლეთ ბალკანეთი ძალზე თავისებური რეგიონია, აქ ყველას დიდი სიფრთხილე გვმართებს. საბერძნეთს კარგი ურთიერთობა აქვს ყველა მეზობელთან და კოსოვოს კონფლიქტის მოწესრიგებაში აქტიურად იყენებს იმ ფაქტს, რომ იგი არის როგორც ევროკავშირის, ისე ნატოს წევრი. კოსოვოს კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ისეთი გზით, რომელსაც დაეთანხმება და მიიღებს კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე. ჩვენ გვაქვს დიალოგი როგორც სერბეთთან, ისე კოსოვოელ ალბანებთან. ბალკანეთში მცხოვრებმა ყველა ხალხებმა უნდა გაიზიარონ ევროპული ღირებულებანი, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება უზრუნველვყოთ მათი განვითარება, აღმოვფხვრათ სიღარიბე და განვამტკიცოთ მშვიდობა.

ВРЕМЯ новостей



# ყველას თავისი საქართველო აქვს

**დიდი სახელმწიფოების შეშფოთებას იწვევს ნებისმიერი გეოპოლიტიკური ან ეკონომიკური კონკურენტის გამოჩენა. ნიკარაგუის პრეზიდენტის არჩევნების წინ შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრმა კარლოს გუტიერესმა განაცხადა: სანდინისტ დანიელ ორტეგას გამარჯვების შემთხვევაში საფრთხე დაემუქრება ორი ქვეყნის ეკონომიკურ კავშირურთიერთობას. სამმა კონგრესმენმა კი მოითხოვა, რომ ნიკარაგუელებს აუკრძალონ შეერთებული შტატებიდან სამშობლოში ფულის გადაგზავნა, თუ ორტეგა გაიმარჯვებს არჩევნებში.**

საკმაოდ ნაცნობი სიტუაციაა, არა?

ამასათან, როგორც ამერიკელი ექსპერტები აღნიშნავენ, ნიკარაგუის სტრატეგიული მნიშვნელობა პრაქტიკულად ნულის ტოლია, თვით ორტეგა კი ძალზე შეიცვალა მას შემდეგ, რაც 20 წლის წინათ მის წინააღმდეგ იბრძოდნენ შეერთებული შტატების მოკავშირე „კონტრასები". მაშ, რა საჭიროა ასეთი აშკარა ჩარევა, რომელმაც თვით ვაშინგტონის მიმართ ლოიალურად განწყობილი სახელმწიფოებიც კი აღაშფოთა.

უბრალოდ, ყველას თავისი საქართველო აქვს. დანიელ ორტეგა, როგორც პიროვნება, თეთრ სახლში ალერგიას იწვევს. თითქოსდა, ცხოვრებამ ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, აიძულა ეს ერთ დროს მგზნებარე მარქსისტი-კომანდანტე დემოკრატიული წესებით დაეწყო თამაში და დაეჭირა მხარი ნიკარაგუაში ამერიკელთა ინვესტიციების შესვლისთვის. მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რაც საღ აზრზე უფრო ძლიერია.

ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ემუქრება საშინელი საფრთხე, ვგულისხმობ იმას, რომ მან, შესაძლოა, ადეკვატურად ვეღარ აღიქვას რეალობა. რამდენიმე წლის წინათ ასეთი სენით დაავადდნენ ბაღდადიც და ვაშინგტონიც. ალბათ, აშკარა საფრთხის გაუთვითცნობიერებლობით თუ შეიძლება ავხსნათ სადამ ჰუსეინის ქცევა ომის დაწყების წინა თვეებში, როცა იგი აშკარად მიმართავდა ბლეფს და ისე იქცეოდა, თითქოს მართლაც ჰქონდა რაღაც დასამალი საერთაშორისო ინსპექტორებისგან. და მხოლოდ საკუთარ ძალებში გადამეტებულმა რწმენამ და იმან, რომ არ სურდა საღად გაეანალიზებინა სიტუაცია, აიძულა ვაშინგტონი საქმე მიეყვანა ომამდე, თუმცა, საომარი მოქმედების დაწყების გზაზე გადადგმული ამ ნაბიჯის გონივრულობა იმთავითვე დიდ ეჭვს იწვევდა.

დღეს ყველა იმკის თავის მოსავალს: სადამ ჰუსეინი, რომელმაც მოისმინა განაჩენი ბაღდადის სასამართლოში, და ჯორჯ ბუში, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს გამონახოს ერაყიდან წასვლის ღირსეული საშუალება, და თანაც ეს გააკეთოს ისე, რომ მთელი რეგიონი არ მოიცვას ქაოსმა.

უპრეცედენტო ნედლეულის კონიუნქტურა და გაურკვეველი ადგილი მსოფლიოში, სადაც ყველა ძირითადი მოთამაშე ღრმად არის ჩაფლული თავისი პრობლემების ჭაობში, რუსეთს უქმნის „წარმატებისგან თავბრუსხვევის" რეალურ საფრთხეს. რუსეთი თანდათანობით გრძნობს თავის მნიშვნელობას და თავის შეუცვლელობასაც კი, რაც მას საკუთარ ძალებში რწმენას მატებს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამერიკასაც მიაჩნდა თავი შეუცვლელად სულ რამდენიმე წლის წინათ დღეს კი იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე იპოვოს თავისი შემცვლელი ერაყში, თუმცა, ჯერჯერობით არაფერი გამოსდის.

**ფ.ლუკიანოვი,**
**ჟურნალ „Россия в глобальной политике"**
**მთავარი რედაქტორი**

Коммерсантъ

# საქართველო თანამეგობრობიდან გასვლას არ ჩქარობს



**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არაერთგზის მიანიშნა, რომ კარგა ხანია გაიყარა საქართველოსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გზები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ევროკავშირი სიზმარშიც კი ოცნებობს საქართველოს მიღებას თავის რიგებში, მაგრამ ნატოსა და ევროკავშირში თბილისის გაწევრიანების გზაზე ერთადერთ დაბრკოლებად მხოლოდ თანამეგობრობის რიგებში საქართველოს ყოფნა რჩება.**

და აი, საქართველოს მმართველი პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა მოულოდნელად გამოთქვა ასეთი მოსაზრება: „არ არსებობს თანამეგობრობიდან საქართველოს გამოსვლის პროცესის დაჩქარების აუცილებლობა". თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში სადღეისოდ ვერც ერთი სახელმწიფო მოხელე ვერ გააკეთებს ასეთ მნიშვნელოვან განცხადებას მიხეილ სააკაშვილთან შეუთანხმებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ დეპუტატი მარტო თავის მოსაზრებას არ გამოთქვამდა.

– ბევრმა იცის, რომ ჩვენ დღესვე თუ დავტოვებთ თანამეგობრობას, ის პროდუქცია, რომელიც იმპორტის სახით შემოგვაქვს, მაგალითად, უკრაინიდან, 12 პროცენტით გაძვირდება. ჩვენ პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი ადამიანები ვართ და მოქალაქეებს კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ვერ ჩავაყენებთ, – განმარტა ვიცე-სპიკერმა. თუმცა, არავის რომ არ დარჩენოდა ილუზია ქვეყნის სამომავლო პერსპექტივების შესახებ, მაჭავარიანმა იქვე დასძინა: – პოლიტიკური გადაწყვეტილება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ მიღებულია.



– ერთი სიტყვით, ასეთი სურათი იქმნება: ერთი საქმეა ყველას გასაგონად გამოაცხადო, რომ აპირებ თანამეგობრობის დატოვებას, მაგრამ სულ სხვა საქმეა ის, რომ ამან ისედაც ღატაკი ქვეყანა შეიძლება მარტოდმარტო მიუშვას თვითდინებაზე. იქნებ, საქართველოს გაუმართლოს და არ ჩაიძიროს, მაგრამ ამის შანსი ძალზე მცირეა. მით უმეტეს, რომ ევროკავშირში საქართველოს, გულახდილად რომ ვთქვათ, არავინ ელის.

**კირილ ანტონოვი**

Комсомольская правда

- ყირგიზეთის პრეზიდენტმა დაპირება არ შეასრულა... საპროტესტო აქციები გრძელდება.
- დააპატიმრებენ თუ არა ტონი ბლერს? — გამოძიება დაწყებულია!



№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

# შეტაკებები ყირგიზეთის დედაქალაქში







**ბიშკეკის ცენტრში მოხდა შეტაკებები ყირგიზეთის პრეზიდენტის მომხრეებსა და ოპოზიციას შორის. უწესრიგობის აღმოსაფხვრელად მილიციას მოუწია ცრემლსადენი გაზის გამოყენება და ჰაერში სროლა.**

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, შეტაკებების დროს დაშავდა რამდენიმე ადამიანი. ყირგიზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ საავადმყოფოში მოათავსეს ოთხი კაცი, რომლებსაც მიყენებული აქვთ ცეცხლსასროლი ჭრილობები. მაგრამ, ყირგიზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მილიციას არ გამოუყენებია ცეცხლსასროლი იარაღი, იგი მხოლოდ „სპეციალური საშუალებებით“ შემოიფარგლა.

7 ნოემბერს დილიდან ყირგიზეთის დედაქალაქში მიმდინარეობდა ორი მიტინგი. სამშაბათს დაიწყო პრეზიდენტის და მთავრობის მომხრეთა მიტინგი. გარდა ამისა, უკვე მეექვსე დღეა გრძელდება ოპოზიციის მხარდამჭერთა აქცია.

იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ ახალი შეტაკებები მოედანზე, სადაც ერთდროულად იმართება მიტინგები, გამოიყვანეს რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი და სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელიც მომიტინგეებს შუაში ჩაუდგა. ვითარების დამშვიდების მიზნით, შეკრებილებს მიმართა ყირგიზეთის ეროვნული უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა მურატ სუტალინოვმა.

სამშაბათს დილით ყირგიზეთის მთავრობამ და პრეზიდენტმა არ გაიზიარეს პარლამენტში ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მიღების მიზნით შექმნილი დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება.

„იმ დეპუტატების მოქმედება, რომლებიც ცდილობენ კანონით გაუთვალისწინებელი ახალი კონსტიტუციის მიღებას, არა მარტო ვერ თავსდება სამართლებრივი სივრცის ჩარჩოებში, არამედ დაუშვებელ პოლიტიკურ პრეცედენტსაც ქმნის. ეს სხვა არაფერია თუ არა, არაკონსტიტუციური გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობა“, — ხაზგასმულია ყირგიზეთის მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თავის მხრივ პრეზიდენტმა ყურმანბეკ ბაკიევმა ბიშკეკში გამართულ პრესკონფერენციაზე მთელი რიგი დეპუტატების მოქმედებას უწოდა „ხელისუფლების უზურპირების მცდელობა“, რადგან, ბაკიევის თქმით, ახალი კონსტიტუციის მიღებას ეს ადამიანები ეცადნენ არსებული კანონების გვერდის ავლით და მაშინ, როცა პარლამენტში არ იყო კვორუმი.

„როგორც პრეზიდენტს, არ მაქვს დუმილის უფლება და ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ მთელი რიგი დეპუტატების მოქმედება მიზნად ისახავს ხელისუფლების უზურპაციას. არავის მივცემთ ქვეყნის ორად გახლეჩის უფლებას“, — თქვა ბაკიევმა. ამასთან, ყირგიზეთის ლიდერმა განაცხადა, რომ არ აპირებს დაითხოვოს პარლამენტი, და გამოთქვა წინადადება, რომ გაიმართოს შემათანხმებელი კონსულტაციები ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

როგორც ცნობილია, ოპოზიცია პრეზიდენტს ადანაშაულებს იმაში, რომ მას არ შეუსრულებია დაპირებები და არ წარმოუდგენია პარლამენტში ახალი კონსტიტუციის პროექტი. აღსანიშნავია, რომ ბაკიევმა გამოთქვა წინადადება კონსტიტუციაში მთელი რიგი შესწორებების შეტანის შესახებ, მაგრამ ამას არ დაეთანხმა ოპოზიცია.

ყირგიზეთის ოპოზიციის ლიდერთა თქმით, ისინი განაგრძობენ საპროტესტო აქციებს და კვლავაც მოითხოვენ პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვას. კონსტიტუციის იმ პროექტის მიხედვით, რომელიც შეათანხმეს პარლამენტის მთელმა რიგმა დეპუტატებმა, ქვეყანაში უნდა შემოიღონ მმართველობის საპარლამენტო-საპრეზიდენტო ფორმა. ამ პროექტით, მთავრობის ფორმირების უფლება გახდება არა პრეზიდენტი, არამედ ქვეყნის პარლამენტის პრეროგატივა.

## შეერთებულ შტატებში დაიდგმება კომუნიზმის მსხვერპლთა ძეგლი

**ამ პროექტს დააფინანსებს ესტონეთი, რომელიც 5.200 დოლარს გამოყოფს. ეს თანხა მოხმარდება ვაშინგტონში კომუნისტური დიქტატურების მსხვერპლთა ძეგლის დადგმას, რომელიც 2007 წლის ივნისში უნდა გაიხსნას.**

როგორც ესტონეთის ვაშინგტონის საელჩოს პრესის და კულტურის საკითხთა ატაშემ ანდრეი ვალენტინოვმა თქვა, ტალინმა გადაწყვიტა მხარი დაეჭირა ამ იდეისთვის. მონუმენტის გახსნა მიეძღვნება შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ წარმოთქმული ისტორიული სიტყვის 20 წლისთავს, რომლითაც მან ბერლინში, ბრანდენბურგის კარიბჭესთან მიმართა საბჭოთა ლიდერს მიხეილ გორბაჩოვს: „ბატონო გორბაჩოვ, დაანგრიეთ ეს კედელი!“.

მრავალი ქვეყანა გამოეხმაურა ვაშინგტონის წინადადებას კომუნისტური დიქტატურების მსხვერპლთა ძეგლის მშენებლობის დაფინანსების შესახებ.

ამ მონუმენტმა პატივი უნდა მიაგოს დაახლოებით 100 მილიონიl კაცის ხსოვნას, რომლებიც მსოფლიოს ორმოცზე მეტ ქვეყანაში დაიღუპნენ კომუნისტური რეჟიმების მმართველობის წლებში.



უკვე კარგა ხანია არ ცხრება კამათი იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ძეგლი. ვაშინგტონში თავდაპირველად სურდათ აეშენებინათ კომუნიზმის მსხვერპლთა მუზეუმი — იმ მუზეუმის ანალოგი, რომელიც უკვე მოქმედებს ვაშინგტონში და ეძღვნება ჰოლოკოსკის მსხვერპლთა ხსოვნას.

მუზეუმის მშენებლობა დაახლოებით 100 მილიონი დოლარი უნდა დამჯდარიყო, მაგრამ ამ თანხის მოგროვება ვერ შეძლეს. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ დაედგათ მემორიალური დაფა, მუზეუმი კი ინტერნეტში გადაეტანათ.

2005 წელს პროექტის სახით დაამტკიცეს ამერიკელი მოქანდაკის თომას მარშის ნამუშევარი — ქვის კვარცხლბეკზე აღმართული ბრინჯაოს სკულპტურა.

## ტონი ბლერს დაპატიმრება ელის?



**დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს შეიძლება დაემუქროს თავისუფლების აღკვეთა იმ სკანდალის გამო, რომელიც აგორდა ფულადი შეწირულობების მიღების ფასად ლორდთა პალატის წევრთა დანიშვნებთან დაკავშირებით, — იტყობინებოდა ბრიტანული გაზეთი „მეილ ონ სანდი“.**

ამ სკანდალს დაემატა ელექტრონული წერილიც, რომლის ავტორია ბრიტანეთის პრემიერის კანცელარიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯონათან პაუელი. წერილში მინიშნებულია, რომ ლორდ ლევის (ეს ადამიანი აგებს პასუხს ლეიბორისტული პარტიისთვის შეწირულობათა შეგროვებაზე) უშუალო კავშირი ჰქონია იმ პირებისთვის პერის ტიტულის უსამართლოდ მინიჭების საქმესთან, რომლებმაც პარტიის ხაზინაში სოლიდური თანხები შეიტანეს.

ლორდი ლევი უკვე დააპატიმრეს მიმდინარე წლის ივლისში. დაკითხვის დროს მან განაცხადა, რომ არ დაუნიშნავს პერები და არ მოუხდენია გავლენა ამ პროცესზე, რადგან ეს პრემიერ-მინისტრის პრეროგატივა იყო.

დაჰკითხეს სხვა პოლიტიკოსებიც. ახლა სკოტლენდ-იარდის მეთაურის მოადგილე ჯონ იეტსი აპირებს ტონი ბლერის დაკითხვას, თანაც მათი საუბარი დაგეგმილია გაიმართოს „სისხლისსამართლებრივი გაფრთხილების პირობებში“. ეს კი ნიშნავს, რომ პრემიერს დაკითხვის დროს მოეკიდებიან ისე, როგორც პოტენციურ ეჭვმიტანილს.

როგორც ცნობილია, გამოძიება დაიწყო მიმდინარე წელს მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ პარლამენტის ზედა პალატის დეპუტატთა პოსტის სულ ცოტა ოთხმა კანდიდატმა დეკლარაციაში გაუტარებელი მსხვილი თანხები შეიტანა ლეიბორისტული პარტიის ფონდში. ლორდთა პალატამ დაბლოკა ეს დანიშვნები, რასაც მოჰყვა გამოძიების დაწყება.

## იაპონიას თავს ტორნადო დაატყდა

**სულ ცოტა 9 კაცი დაიღუპა და 20 დაშავდა ტორნადოს შედეგად, რომელმაც სამშაბათს გადაუარა იაპონიის ჩრდილოეთ ნაწილს.**

სტიქიამ დაანგრია ორი სასექციო ნაგებობა სამშენებლო მოედანზე, 8 კერძო სახლი და ფაბრიკა. მშენებლობაზე მომუშავე ადამიანები სახლების ნანგრევების ქვეშ მოყვნენ.

„ორი კაცი აქამდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება“, — განაცხადა ჰოკაიდოს კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილის სახანძრო დეპარტამენტის წარმომადგენელმა. სამაშველო სამუშაოთა განხორციელებას უშლიდა ხელს წვიმა და ელექტროენერგიის გამორთვა, — დასძინა მან.



სამედიცინო პუნქტებს დახმარებისთვის მიმართა მშენებლობაზე მომუშავე ორმოცამდე კაცმა. 15 ადამიანი ჰოსპიტლებში მიიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანებით, დანარჩენებმა კი დამოუკიდებლად შეძლეს საავადმყოფოებამდე მისვლა.

როგორც ადგილობრივი ტელევიზია იტყობინებოდა, მუშები ცდილობდნენ იმ ადამიანთა გადარჩენას, რომლებიც მოჰყვნენ ჩამონგრეული შენობის ნანგრევების ქვეშ. ამ შენობას იყენებდნენ მშენებლობის მუშათა დროებით საცხოვრებლად.

- არჩევნების დროს თამარ ბებიას აქტიურობამ პიკს მიაღწია
- ... ქუჩაში კი ხშირად გაისმის ურცხვად ნათქვამი: — ჩემი დედაო... ადრე მშობლის უდიერად მოხსენიებისთვის, ვინ იცის, რამდენი ბიჭი გაულახავთ ჩემს უზნელებს...

№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ მორალი

# მშობელ დედას ნუ აგინებთ, ბიჭებო!

**„ამ ბარათს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველი გიგზავნით. ყველას გასაგონად ვამბობ: „დედის მაგინებლები მოგვიმრავლდნენ“. ენაბილწობა, ავყია და დედის მაგინებელი კაცი თვალსაც აწუხებს, გულსაც და ყურსაც. ქართველებს არა გვაქვს უწმაწურობის უფლება, არადა, დედაქალაქის ქუჩებში ხშირად გვესმის: „ჩემი დედა...“**

ეს უზნეობაა! — საკუთარი დედის გინება არავის ეკადრება.

რატომ შემოიჭრა დედის გინება ქართველი ახალგაზრდების სასაუბრო ლექსიკაში? ოდითგანვე დედის ასეთი სიტყვებით მოხსენიება ქართველებში დიდ ცოდვად ითვლებოდა. ჩემმა ვაჟმა, როცა ის ყოფილი სსრ კავშირის ჯარში მსახურობდა, დედის გინებისთვის თავისი ოფიცერი მაგრად მიტყიპა (თურმე, მას სხვა კავკასიელებიც მიეშველნენძ...

ჩხუბის მიზეზი რომ გაიკითხეს, ჩემი შვილი გენერალმა გამოიძახა. ბიჭმა დაუფარავად უპასუხა: — დედის გინებას ქართველი არავის აპატიებს!

ამ გამოძახებას ის მოჰყვა, რომ გენერალმა მეთაურები მოიხმო და გააფრთხილა: — კავკასიელებთან დედის გინებას სასაუბროდ ნუ გაიხდით, მოერიდეთო. ჰოდა, ამიტომაც გწერთ ამ წერილს. ახალგაზრდებს ვთხოვ, დედას ცუდად ნუ მოიხსენიებენ!“ — გვწერს ხანდაზმული მანდილოსანი.

...ქუჩაში კი ხშირად გაისმის ურცხვად ნათქვამი: — „ჩემი დედა...“

ამის გამგონეს არ შეიძლება იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „9 ძმა ხერხეულიძე“ არ გაგახსენდეს, ან ვისაც თბილისიდან 40 კილომეტრით დაშორებულ სოფელ მარაბდის სასაფლაოზე 9 ჩოხოსანი ხერხეულიძის და მათი ჩიხტიკოპიანი დედის საფლავი უნახავს და მარაბდელების ნათქვამი მოუსმენია: — ეს 9 ძმა ხერხეულიძე და მათი დედაო... იქიდან კი გადმოხედავთ მარაბდის ველს, ოდესღაც ძმები ერთად რომ ებრძოდნენ მტერს; მათ მაშინ სპარსელების არაერთი იერიში უკუაქციეს, მაგრამ მეოთხე დღეს მტერს ახალი ჯარი მოეშველა და დაღლილ-დაქანცულმა ქართულმა ლაშქარმა ველარ შეაკავა მტერი, — „თავდადებულნი ძმანი ერთი-ერთმანეთზე ზედ შეაკვდნენ მტერსა“.

ხალხის თქმულებით, მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო, შვილებს ამხნევებდა და როცა სასიკვდილოდ დაჭრილ მის ერთ ვაჟს ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ დროშა თავის მეორე შვილს გადასცა! დედა ბრძოლის დროს შვილების გვერდით იყო... მათი საფლავი მარაბდის სასაფლაოზეა დაცული.

იმ წერილთან ერთად, რატომ დამჭირდა ყოველივე ამის გახსენება? — ...ჩულურეთში, ჩემი ქუჩის მოსახვევთან ბიჭები ხშირად გროვდებიან, რაღაცას არჩევენ, კამათობენ და ყოველი წინადადების შემდეგ გამვლელებს გვაღიზიანებს მათი წარმოთქმული სიტყვები: „ჩემი დედა...“ „ჩემი დედა იყოს ჩემი ცოლი“... „ბოზის შვილი ვიყო“... და ა. შ... განა შეიძლება დედის ასე მოხსენიება? ადრე მშობლის უდიერად მოხსენიებისთვის, ვინ იცის რამდენი ბიჭი გაულახავთ ჩემს უზნელებს...



დედა კი გამუდმებით შვილზე ფიქრობს. მაგალითი თვალწინაცა მაქვს. შვილისგან მიტოვებულ ჩემი მეზობლის გვარს ვერ დაგისახელებთ, მთხოვა: შვილს ეწყინებაო (კიდევ იმაზე ფიქრობს შვილისგან მიტოვებული დედა, შვილს გული არ ატკინოსძ, არადა, დედამისი მარტოხელაა. მივაკითხე, მის დამჭკნარ, დაღარულ, ჩაფერფლილ სახეს დავხედე (მისი შვილი ცოლ-შვილით საბერძნეთშია წასულიძ.

რად ეხეთქება ზოგჯერ დედის უნაპირო თავგანწირულობა შვილის გულგრილობის ყრუ კედელს (საბედნიეროდ, ჩვენში იშვიათად, მაგრამ ხომ ხდება ასეძ?

იმ ჩემს უკვე დავარდნილ მეზობელს მიმხედავი, გარდა მეზობლებისა, არავინ ჰყავს. შვილს, რძალს, შვილიშვილს არ სურთ ამ ქალის პატრონობა.

მეზობლებს ახსოვთ ამ დედაკაცმა ერთადერთი შვილი როგორ გაჭირვებით გაზარდა... დედასთან იშვიათად გამოჩენილი მოხუცის შვილი და რძალი მეზობლებმა ბევრჯერ შეარცხვინეს, მაგრამ... შეაყარე კედელს ცერცვი.

გავიფიქრე, როგორ შეიძლება შვილმა არ ნახოს ავადმყოფი დედა და იგი უცხო ადამიანების ანაბარად დატოვოს... მეზობლები რომ არა, ეს ქალი, ალბათ, ამდენ ხანს ვერც იცოცხლებდა. მეზობლებს შვილის საქციელი აღელვებთ, როცა ისინი საუბრობენ, თითქოს ეკრანზე ვხედავ დედის ტვირთმძიმე ცხოვრების ეპიზოდებს. ბედს ვეძახით, თორემ, იმ ბედის შემოქმედი თვითონ ადამიანია! ტყუილად როდი ამბობდნენ ძველი ბერძნები: „ხასიათი იგივე ბედიაო“.

ხასიათი მარიამს ისეთი ჰქონდა, არ შეეძლო ადამიანის დადებითი და უარყოფითი თვისებები ეთვალა. შეხედავდა კარგ თვალზე და მორჩა. ასე ირჩევდა მეგობრებს, ასე აირჩია მეუღლეც, მაგრამ ამ კაცის ცხოვრება უფრო მკაცრი აღმოჩნდა. ქალი ეცადა, პატარა ვახოსთვის მამა არ დაეკარგა.

არ გამოუვიდა, კაცი სხვა ქალთან წავიდა... ის ვერ ჩასწვდა მარიამის სულს. პრეტენზიული ქმარი მხოლოდ ითხოვდა. შეიძლება რაღაც სიმართლე ქმრის მხარეზეც იყოს. ახალგაზრდა სპეციალისტი ქალის ცხოვრების მაშინდელი მუშაობის სტილი — საქმიანი, დაძაბული, ცოტა მამაკაცურიც კი, არ ხიბლავდა ტრადიციულ ოჯახში აღზრდილ ვაჟს, სადაც კანონის უფლებას მხოლოდ მამაკაცის სიტყვა იძენდა...

ასე იყო თუ ისე, ვახო მაშინ ვერ არჩევდა ავსა და კარგს. დედას ბიჭი სამსახურშიც დაჰყავდა, ხან მეზობლებს უტოვებდა, მარტოხელას გაუჭირდა შვილის აღზრდა, მაგრამ დედა-შვილისთვის გამორჩეულად სასიხარულო დღეებიც გამოერეოდა, ასეთი იყო, როცა დედამ შვილს ტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრება მიულოცა.

— კარგი მოსწავლე იყო, კარგი სტუდენტი, — იგონებს მარიამი... დედას უხაროდა შვილის დავაჟკაცება, მომესწროო, ამბობდა. შვილზე ცუდს ვერ წამოაცდევინებდი. აბა, რომელი დედა იტყვის ცუდი შვილი მყავსო.

— შორს არის საბერძნეთი, ხშირად ვერ ჩამოდის, არ ტყდება დედა მეზობლების შეხსენებაზე... რძალს არ ვუყვარვარო, თითქმის ჩურჩულით დაუმატებს ხოლმე...

საწოლთან კედელზე შვილის სურათი უკიდია...

თავიდან, ხასიათის შეწყობის მცდელობით მისთვის რძალს თავი მაინცდამაინც არ შეუწუხებია, — მე დედაშენთან გამჩერებელი არა ვარო და ქმარიც აიყოლია, აკი შორსაც წავიდნენ... ვერ აღმოჩნდა მოხუცის ვაჟი კაცურ სიმაღლეზე, ცოლთან ერთხელაც არ დასცდენია: — ვალდებული ვარ დედას მივხედოო. არ მოიხადა მშობლის პატრონობის მარადიული ვალი, მით უფრო ავადმყოფი დედის მოვლისა...

მარიამის ვაჟი დედასთან არის ჩაწერილი (დედა მოკვდება და ბინაზე ალბათ ვერავინ შეედავებაძ... ნეტავ, მის ყურს თუ მოჭრის თბილისში ჩამოსვლისას დედაქალაქის ქუჩებში ბიჭების წარმოთქმული უწმაწური სიტყვები „ჩემი დედა“...

...ღირს კი დედის მაგინებელ ბიჭებს შევახსენო დედაშვილობის მოვალეობა? ისინი, ალბათ, გამოლმა დამიწყებენ მტკიცებას, სხვის საქმეში რომ ერევი, ვინ გკითხავს, ვინა გდიხარო!

რა ვუპასუხო? — კაცად ქცევის რეცეპტს ვერ მივცემ... ქუჩაში მოსმენილი დედის მაგინებელი ბიჭებიც კარგ ქართველებად არ მიმაჩნია. კაცმა უნდა გაიაზროს რას ამბობს, როდესაც საკუთარ დედას აგინებს. მხოლოდ ასე თუ დაამარცხებენ ამ საშინელ ჩვევას.

მახსოვს, ოზლად დარჩენილებს (ხუთნი ვიყავითძ სოფელში მოსმენილი ჩემი უფროსი ძმის სიტყვები:

— შეხედეთ ჩემი მეზობლის ღობეს, იქ მდგომი დედაჩემი მახსენდება, დღემდე წითლად დაწინწკლული ჩითისკაბიან დედას ვხედავ...

...წლები მიდის, მაინც როგორ არ ჰგვანან ადამიანები და ადამიანური განცდები ერთმანეთს.

დარწმუნებული ვარ, ეს ჩემი მეზობელი მოხუცი ერთადერთი დედა არ არის საქართველოში, რომელსაც შვილი ასე უყურადღებოდ, უსინდისოდ ექცევა, არც დედის მაგინებელი ბიჭები აკლია ქუჩებს...

შვილს სიცოცხლე ხომ დედამ მისცა! დედა უძლვის წინ ყველაფერს, ჩვენს სალოცავს, ჩვენს საფიცარს... ღამეა თუ დილა, დედა მუდამ შვილთან არის. შენი გულისთვის უძილო ღამეს ვინ ათენებდა?! შვილის მომავალზე დღედაღამ ფიქრით ვინ ვერ ისვენებს? თუკი ივარგებ, შენით ვინ იამაყებს?!

ჯერ კიდევ როდის კარგმა ქართველმა კაცმა დედას შეადარა დედაენა, დედაბოძი, დედასამშობლო, დედამიწა... ახლა რა ღმერთი გვიწყრება, ვის ვაგინებთ?

**ნათელა ფაილოძე**

◎ არასერიოზულად — სერიოზულზე

# „მკვდარი სულები“ არჩევნებზე,

## ანუ დემოკრატია თამარ ბებიასებურად

**რესპონდენტი ჩემი ნათესავია. მის ვინაობას შეგნებულად არ გიმხელთ, რადგან, ვიცი, მისაყვედურებს, რავა მომჭერი, ნენა, თავი, რავა გამომაჭენე სოფელ-ქვეყანაშიო...**

**თამარა ბებია ჩვეულებრივი მოხუცია, მაგრამ ამ სიბერეში უცნაური „სენი“ შეეყარა — ნაციონალების თავგადამკვდარი მომხრე გახდა და კბილებით იცავს მმართველ პარტიას.**

არჩევნების დროს თამარ ბებიას აქტიურობამ პიკს მიაღწია. გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ამდენი მას „ვარდების რევოლუციის“ დღეებშიც კი არ უნერვიულია... საუბარი არჩევნებიდან 2-3 დღის შემდეგ ჩავწერე. მოხუცი გამარჯვებას ზეიმობდა...

**— თამარ ბებია, მაინც რატომ დამარცხდა ჩვენი ოპოზიცია?**

— ძალიანაც კარგი, რომ დამარცხდა! მაი ოპოზიციაა, თუ რაცხა ჯანდაბა, ნამდვილი ჯიბგირებითაა სავსე...

**— რატომ? მათ შორის ბევრი ჭკვიანი და განათლებული ადამიანია.**

— მარტო ჩხუბსა და დავიდარაბაზე რომ ფიქრობენ, იმიტომ. იმის მაგიერ, რომ მიშასთან ერთად დასცხონ დუშმანს, პატარა ბიჭებივით კინკლაობენ!

**— იქნებ, ისინიც ქვეყნის მომავალზე ფიქრობენ?**

— არ თქვა მაი, ნენა, არ თქვა მაი სისულელე! მაგენი რომ მაგრები ყოფილიყვნენ, ამ არჩევნებში მოახერხებდენ რაცხას. ისროლონ აწი ხელთათმანები. ხომ ისროლა ნათელაშვილმა, მაგრამ რა გამევიდა მაქედან, ყველამ ვიცით!

**— იქნებ, ისინი სხვაგვარად ფიქრობენ, თამარ ბებია?...**

— რა სხვაგვარად, რის სხვაგვარად ნენა, მითხარი ერთი! იქნებ გაყინული პენსიები და ხელფასები მეენატრათ, მაგენს გეეყინათ თავ-პირი!

**— მგონი ოპოზიციას შენმა წყევლამ უწია, თამარ ბებია. ოჯახში არ გიშლიან წყევლას?**

— რას ქვია მიშლიან! ახლა სიტყვის თავისუფლებაა და რაცხას მინდა, იმას ვიტყვი. ეგლა მაკლია, წყევლა დამიშალონ ამ სიბერეში. მთელი ცხოვრება მეხვეწებოდა ჩემი ცხონებული ქმარი: ნუ მწყევლი თამარა, თვარა მოგიკვდები და აღვარღვალე მერე ცრემლებიო. ისე თქვენ აგიხდეთ, შვილებო, ყველაფერი კაი, რავარც მე მისი სიტყვები ამიხდა!

**— შევარდნაძეს ასე რომ არ ექომაგებოდი?**

— მაი კაცი არ მიხსენო, ნენა. მარტო იმიტომ ვცემდი პატივს, გურული რომ იყო. სხვაი ღირსება მაგისთვის არ შემიმჩნევია.

**— მრავალ მთავრობას მოესწარი. როგორ ფიქრობ, ვცხოვრობთ მართლა დემოკრატიულ ქვეყანაში, თუ არა?**

— ნამეტანი, ნამეტანი დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, დეილოცა, ნენა, ამ დემოკრატიის მომგონი. ამბობენ, თბილისში მიცვალებულებიც კი შეიყვანეს საარჩევნო სიებშიო. ჩვენი ხალხი კი ყოველთვის ყველაფრით უკმაყოფილო იქნება. ამაზე მეტი დემოკრატია რაღა უნდა იყოს!?

**მიცვალებულს არჩევნებში რა უნდა-მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა დემოკრატიაზე, სიტყვის თავისუფლებაზე, მმართველი პარტიის ღირსებებზე, რომ მივხვდი მასთან კამათი ფუჭი იქნებოდა. დამარცხებას შევურიგდი, დავემშვიდობე და სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას...**

**ხათუნა ჩიგოგიძე**



# სპორტული მსოფლიო

- თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, მალე ევროპაში არც ერთი არგენტინელი ფეხბურთელი აღარ დარჩება
- არ არის გამორიცხული, რომ სამომავლოდ თამაშების მასპინძლობაზე თავისი კანდიდატურა ქართულმა მხარემაც წარმოადგინოს



## ◉ პროექტი



# პლიუს სამი

**გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისი მმაჩი-ს ბიუროს მოგაგონებდათ – რამდენიმეწუთიანი ინტერვალით პფლ-ს პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა ლიგის ახალი სპონსორების – კომპანიების „ყაზბეგის“, „აქსისისა“ და „გეოგრასის“ წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოაწერა კონტრაქტებს პარტნიორობის შესახებ.**

თანამშრომლობის სამწლიანი პროექტი ითვალისწინებს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალისტებისთვის 50-ათასლარიანი საპრიზო ფონდის დაწესებასა და საგურამოს საწვრთნელ ბაზაზე, აგრეთვე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში (მაგალითად – ზუგდიდსა და რუსთავშიძ სათამაშო და სავარჯიშო მინდვრების კეთილმოწყობას.

ღონისძიების დასასრულს პფლ-ს თავკაცმა მადლიერებით მოიხსენია ქართული ფეხბურთის ძველი შემწენი – „ჯეოსელი“, „საქართველოს ბანკი“ და „აიტი“, რომლებიც წარმატებით განაგრძობენ სფფ-ს და პფლ-ს მეცენატობას და სამაგალითოდ ემსახურებიან საშვილიშვილო საქმეს.

## ◉ მკლავჭიდი

# ისევ კვარცხლბეკზე



**მანჩესტერის „ტრაფორდ ცენტრი“ ერთი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა მსოფლიოს XXVIII ჩემპიონატს მკლავჭიდში. საამაყოა, რომ აღნიშნულ ფორუმზე კიდევ ერთხელ ასახელეს სამშობლო საქართველოს წარგზავნილებმა – ისინი შინ ოთხი მედლით დაბრუნდნენ.**

განსაკუთრებით ივაჟკაცა გიორგი ალბუთაშვილმა, რომელმაც ოქროს „დუბლი“ შეასრულა. რაც შეეხება მის თანაგუნდელს ჯაბა გეთიაშვილს, მან თითო პირველი და მეორე ადგილი დაიკავა.

## ◉ ხელბურთი

# მარცხი ნაცნობი სცენარით

**კარგა ხანია მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ საქართველოს ხელბურთელთა საკლუბო გუნდები ევროტურნირების მნიშვნელოვან მატჩებს უსახსრობის გამო, მხოლოდ სტუმრად მართავენ. ასე იყო ამჯერადაც.**

ერთადერთი ქართული კლუბი „თბილისი“, რომელიც „ჩელენჯკაპზე“ გამოდიოდა, მესამე წრიდან ჩაება ტურნირში. მისი მეტოქე იყო რუმინული „რესიტა“. ევროთასების დებიუტანტმა კარპატელებმა თბილისელებს ორივე მატჩი მოუგეს – შესაბამისად – 41:25 და 44:30.

## ◉ რაგბი



# „ლოკომოტივს“ ვერ აჩერებენ

**დამთავრდა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. მეხუთე ტურის მატჩებს სიურპრიზები არ შემოუთავაზებია. ლიდერობა განიმტკიცა „ლოკომოტივმა“, რომელმაც „ხულიგანას“ აჯობა 19:10. უპირატესობას თავიდან რკინიგზელები დაეუფლნენ და უკვე მეხუთე წუთზე ლელოც გაიტანეს. პირველი ნახევარიც მათ მოიგეს 12:0.**

შესვენების შემდეგ „ხულიგანა“ გააქტიურდა, ორი ლელოც მიითვალა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, რადგან მეორე ტაიმში ერთხელ „ლოკომოტივიც“ შეიჭრა მეტოქის ლელოში და გარდასახვაც ზუსტად გამოიყენა.

ერთპიროვნულ ლიდერს კვლავ ორი ქულით ჩამორჩება „ლელო“, რომელმაც მე-5 ტურის დაძაბულ მატჩში „ყოჩები“ დაამარცხა 29:20.

გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზე ისევ „დინამოა“, ამჯერად მისი მეტოქე იყო „აკადემია“, რომელიც წლევანდელ ჩემპიონატში ძალზე სუსტად თამაშობდა. აკადემიკოსებმა მხოლოდ პირველი ოცი წუთის განმავლობაში შეინარჩუნეს მშრალი ანგარიში, მერე დინამოელთა შეტევებს ვერ გაუძლეს და 5:27 დამარცხდნენ.

**პირველი წრის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია:**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 5 | 5 | 0 | 0 | 10 |
| 2. „ლელო“ | 5 | 4 | 0 | 1 | 8 |
| 3. „დინამო“ | 5 | 3 | 0 | 2 | 6 |
| 4. „ყოჩები“ | 5 | 1 | 1 | 3 | 3 |
| 5. „ხულიგანა“ | 5 | 1 | 1 | 3 | 3 |
| 6. „აკადემია“ | 5 | 0 | 0 | 5 | 0 |

**მეორე წრის დამთავრების შემდეგ ოთხი საუკეთესო გუნდი ნახევარფინალში ითამაშებს.**

## ◉ ძიუდო

# ჩვენი გოგონები გააქტიურდნენ

**რაც დრო გადის, საქართველოს ძიუდოისტი გოგონები საერთაშორისო შეჯიბრებებიდან უფრო და უფრო ხელდამშვენებულნი ბრუნდებიან. გასულ უქმეებზე გოდერძი ველიჯანაშვილის შეგირდებმა ანთალიის დიდ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. 10 ქვეყნის წარმომადგენლებთან პაექრობაში ჩვენმა გოგონებმა 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მაია ტარუაშვილი (52 კგ.ძ, მარი ოქრიაშვილი (57ძ და მძიმეწონოსანი ნანა კაკაბაძე, რომელმაც ფინალში თანაგუნდელი თამარ ლომიძე დაამარცხა. ვერცხლის მედალს დასჯერდა ნინო ნემსიწვერიძეც (44ძ, ხოლო სოფიო როსტომაშვილი (48ძ, ნელი ხოშტარია, ანა ავაქიანი (ორივე – 52 კგ.ძ, თეონა სუხიტაშვილი (57ძ და სალომე წოწკოლაური (მძიმე წონაძ მესამე ადგილებზე გავიდ-



## ◉ ჭიდაობა

# ხუთი ქვეყნის მონაწილეობით

**საქართველოს 1991-1993 წლებში დაბადებულმა მოჭიდავეებმა (მწვრთნელები გელა ჯანელიძე და ელგუჯა ქობერაშვილიძ შესანიშნავად იასპარეზეს თურქეთის ქალაქ ბურსას საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ქართველებთან ერთად თურქი, რუსი, ბულგარელი და ალბანელი ახალგაზრდებიც იბრძოდნენ მედლებისთვის.**

რაუფ შაკულოღლი (35, ქარელიძ, ჯონი ყადიძე (66, აჭარაძ და მიხეილ აბრამიშვილი (თბილისიძ დაძაბული პაექრობების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს აზარხან ემინოვმა (66, ქარელიძ, მიხეილ ლეკბორაშვილმა (74, თბილისიძ და ვალერიან გზირიშვილმა (85, თბილისიძ, შოთა ფარტენაძე (32, აჭარაძ კი „ბრინჯაოს“ დასჯერდა.

## ◉ ორბიტაზე

### ველოსიპედით კი არა, ფეხით!

**უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული მრავალდღიანი ველომარათონის „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის გამარჯვებულმა ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა.** თითქმის უკურნებელი სენის – კიბოს– დაძლევის შემდეგ ასეთი უჩვეულო წარმატება რომ მოიპოვა, ამერიკის გმირმა მოინდომა ნიუ-იორკის ტრადიციულ მარათონში მონაწილეობა, თუმცა 42 კილომეტრზე მეტი მანძილი ველოსიპედით კი არა, ფეხით უნდა გაერბინა, თან სტარტის წინ ისიც განაცხადა, რომ მარათონულ მანძილს სამ საათზე ნაკლებ დროში დაფარავდა. თქვა და შეასრულა კიდეც. მისი ნაჩვენები დროა 2:59, 36.



ყველა მოელოდა, რომ მარათონში ტრადიციულად კენიელი ათლეტები გაიმარჯვებდნენ, მით უმეტეს, რომ მარათონში მონაწილეობდა ყველაზე სახელოვანი მარათონელი ტერგატი, მაგრამ მოხდა „ სასწაული“, ფინიშთან პირველი ბრაზილიელი გომეშ დუშ სანტუში მივიდა – 2:09,58.

ქალთა შორის გაიმარჯვა ლატვიელმა პროკოპჩუკმა – 2:25,05.

### სამშობლოსკენ სატრფო იზიდავს

**როგორც ამბობენ, თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, მალე ევროპაში აღარც ერთი არგენტინელი ფეხბურთელი აღარ დარჩება. კილი გონსალესის კვალდაკვალ, შესაძლოა, სამშობლოში დაბრუნდეს ესპანური „ვილიარეალის“ ლიდერი ხუან რომან რიკელმეც. მიზეზი – დიდი მონატრება, რასაც ამ ფეხბურთელის სატრფო განიცდის.**

24 წლის მოდელთან კარინა ელინეკთან არგენტინის ნაკრების ნახევარმცველს რამდენიმე თვის ურთიერთობა აქვს. ერთადერთი პრობლემა, რაც ახალგაზრდებს ხელს უშლის თავიანთი ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმებაში, სამუშაოთი სერიოზული გადატვირთულობაა. ლამაზმანი ევროპაში გადასვლის კატეგორიული წინააღმდეგია.

მთავარი ისაა, რომ ქალიშვილს, რომელიც ორიოდე წლის წინათ გამობრწყინდა „პლეიბოის“ არგენტინული ვერსიის ფურცლებზე, ბუენოს-აირესში თანამედროვე ცეკვების სკოლის გახსნის იმედი აქვს, რის გამოც ლამაზმანი თვეობით არ ტოვებს ქალაქს, თავისი გადაწყვეტილების შეცვლას კი, როგორც ჩანს, ის არ აპირებს.



## ◉ შავი ზღვის თამაშები

# ძველი იდეის ახალი სიცოცხლე



**ჯერ კიდევ ათი წლის წინათ დაიბადა იდეა შავი ზღვის თამაშების გამართვის შესახებ. მაშინ მასპინძლად იმზირი შეარჩიეს, მაგრამ ამ ქალაქში მომხდარმა მიწისძვრამ წამოწყება მთელი ათი წლით დაამუხრუჭა.**

თურქებმა წლეულს კვლავ გაიხსენეს უწინდელი განზრახვა და იდეის ხორცშესხმას რეგიონის სხვა ქვეყნებმაც დაუჭირეს მხარი. გადაწყდა, რომ პირველ შავი ზღვის თამაშებს გაისად 2-8 ივლისს ტრაბზონი (თურქეთიძ უმასპინძლებს. სპორტის ცხრა სახეობაში (მძლეოსნობა, ფეხბურთი, (ბიჭებიძ, მშვილდოსნობა, ფრენბურთი (გოგონებიძ, ტაეკვადრო, კალათბურთი (ბიჭებიძ, ჭიდაობა, მხატვრული ტანვარჯიში, ცურვაძ 11 ქვეყნის – თურქეთის, საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, საბერძნეთის, სომხეთის, ალბანეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, რუმინეთისა და სერბეთის (ბულგარეთმა ამჯერად იუარაძ თვრამეტწლამდელი გოგონები და ვაჟები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. თამაშების მიზანია, წევრ ქვეყნებს შორის სოციალური და კულტურული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა და განვითარება; სპორტული სოლიდარობისა და ოლიმპიული სულისკვეთების გზით თამაშებში მონაწილე ახალგაზრდა ათლეტთა შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავება.

ტურნირის აღმასრულებელი ორგანოს – ადმინისტრაციული კომიტეტის წევრმა, საქართველოს სპორტისა და კულტურის მინისტრის მრჩეველმა თამაზ თევზაძემ გვითხრა, რომ მეორე თამაშები სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო 2010 წელს გაიმართება, მომდევნო სპორტული ბატალიები კი ოთხ წელიწადში ერთხელაა გამიზნული.

არ არის გამორიცხული, რომ სამომავლოდ თამაშების მასპინძლობაზე თავისი კანდიდატურა ქართულმა მხარემაც წამოაყენოს.

**გიორგი გაგუა**

№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

- გადახდის საფოსტო ნიშნები შეერთებულ სამეფოში მაშინ გამოჩნდა, როცა მათ ჯერ კიდევ არსად არ ხმარობდნენ
- ეს იქნება გამაოგნებელი სამეცნიერო სერიალი, რომელიც მიეძღვნება გენეტიკურ მოდიფიკაციებს



№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

ფილატელია

# ძველისძველი „შავი პენი“

**დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც საფოსტო მარკებზე მათი გამოშვების ადგილს არ აღნიშნავს. ესაა ტრადიციისადმი ხარკი, რომელსაც ინგლისელები დიდ პატივს მიაგებენ: გადახდის საფოსტო ნიშნები შეერთებულ სამეფოში მაშინ გამოჩნდა, როცა მათ ჯერ კიდევ არსად არ ხმარობდნენ. წლეულს კი პირველი მარკისა და, საერთოდ, ფილატელიას166 წელი შეუსრულდა.**

1840 წლის 1 მაისს დილით გაღვიძებული პოსტის მოხელე **როულენდ ჰილი** ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ამ დღეს მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერებოდა ცივილიზაციის ისტორიაში. მან მსახურისგან შეიტყო ლონდონის ახალი ამბები და დღიურში ჩაწერა: „მოსახლეობისთვის პირველად მარკები გამოუშვეს. ფოსტაში საშინელი აურზაურია. და მართლაც, **მარტო ერთ დღეში ინგლისის დედაქალაქში 600 ათასი ფოსტის მარკა გაიყიდა.**





ამბობენ, რომ ყოველივე გენიალური მარტივია. **მარკის გამოგონების იდეა მისტერ ჰილს ირლანდიის ერთ-ერთი პატარა ქალაქის სასტუმროში მოუვიდა, როცა მსახურება გოგონამ უსახსრობის გამო ვერ შეძლო სატრფოს წერილის მიღება, რომელიც მან გამოუგზავნა. საქმე ის გახლავთ, რომ იმ დროს გზავნილის ფასი ადრესატს უნდა გადაეხადა. სწორედ მაშინ დიდი ბრიტანეთის მომავალ გენერალურ ფოსტმეისტერს აზრად მოუვიდა, რომ გზავნილის საფასური წინასწარ აეკრიფათ. ამ იდეით გატაცებულმა მან 1837 წლის 6 იანვარს გამოსცა ბროშურა „ფოსტის უწყების რეფორმა, მისი მნიშვნელობა და განხორციელება“. ქაღალდის პატარა ნაჭერს, რომელსაც ცალ მხარეს წებოს წაუსვამდნენ და კონვერტს დააკრავდნენ, ხოლო მეორეზე ბეჭედს დაარტყამდნენ, ჰილმა „იარლიყი“ უწოდა. ერთიან ტარიფად კი ერთი პენი განისაზღვრა.**

თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიდებული იდეა ლამის პარლამენტში დაასამარეს, რის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მეფის კარის მოხელეებსა და პარლამენტის წევრებს უფასო საფოსტო გზავნილების პრივილეგია გაუუქმდებოდა.

თუმცა როულენდ ჰილს ფარ-ხმალი არ დაუყრია და ზუსტი ეკონომიკური გათვლებით ამტკიცებდა, რომ საბოლოო ანგარიშად, ხაზინა ამით მოიგებს. იგი იმდენად დარწმუნებული იყო საბოლოო გამარჯვებაში, რომ ჯერ კიდევ ცხარე საპარლამენტო დებატების დროს დაიყოლია „თაიმსის“ რედაქციას გამოეცხადებინა კონკურსი საუკეთესო მარკაზე.

იდეის სიახლემ ბევრი შემოქმედი მოხიბლა: **განცხადებას 2600 მხატვარი და გრავიორი გამოეხმაურა. ფინალურ ეტაპზე მკაცრმა ჟიურიმ ოთხი ესკიზი დაუშვა, გამარჯვება კი წილად ხვდა ბენჯამენ ჩევერტონს, რომელმაც პირველ საფოსტო მარკაზე დედოფალი ელისაბედის პროფილი გამოსახა.** მხატვარმა მკაცრად დაიცვა ჰილის მოთხოვნა: მარკის გაყალბება მაქსიმალურად რთული უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჟიურიმ მხარი დაუჭირა ჩევერტონის აზრს, მან ჰილთან მოთათბირების შემდეგ, მაინც სხვა ვარიანტი აირჩია — პირველ მარკაზე უნდა გამოესახათ უილიამ უაიონის მიერ დედოფლის ბარელიეფური გამოსახულება.



ფირმა „პერკინს, ბეკონ ენდ პეტჩის“ გრავიორებმა დაამზადეს ფიცრები, რომელთა მეშვეობით ყოველდღიურად 100 ათასი შავი ფერის მარკა უნდა დაებეჭდათ.

სამწლიანი კამათის შემდეგ, 1840 წლის 10 იანვარს დიდ ბრიტანეთში როგორც იქნა მიიღეს გადაწყვეტილება ერთი პენის ოდენობის ერთიანი საფოსტო ტარიფის შემოღებისა და, შესაბამისად, მარკების მიმოქცევაში შეყვანის შესახებ. თუმცა, ვიდრე პირველი მარკები მიმოქცევაში შევიდოდა, საჭირო გახდა მრავალი ტექნიკური სიძნელის დაძლევა.

და მაინც, **დათქმულ დღეს „შავი პენი“, როგორც ის გამოჩენისთანავე ხალხმა მონათლა, მიმოქცევაში შევიდა. 12-მარკიანი 20 ჰორიზონტული მწკრივიანი ფურცელი ერთი გირვანქა სტერლინგი ღირდა.** პირველსავე წელიწადს ჰილის იდეამ დიდებული შედეგი გამოიღო: გაიყიდა 60 მილიონი მარკა, რამაც, ცხადია, ხაზინის შემოსავალი გაზარდა. ბრიტანეთის გამოცდილება სხვა ქვეყნებმაც გაიზიარეს, ხოლო ყველაზე ბოლოს დიდი სახელმწიფოებიდან მარკები 1817 წელს შემოიღო იაპონიამ. მხატვრები გამუდმებით იგონებდნენ ახალ-ახალ სიუჟეტებს, თავად დიდ ბრიტანეთში კი 60 წლის მანძილზე ნებისმიერ მარკაზე ახალგაზრდა დედოფლის პროფილს გამოსახავდნენ — სწორედ იმას, „შავ პენიზე“ პირველად რომ გამოჩნდა.

**„ფოსტის მარკის მამამ“ დიდ ხანს იცოცხლა, მას ბარონეტის ტიტული და უამრავი ჯილდო მიანიჭეს. იგი ვესტმინსტერის სააბატოში დაკრძალეს — იქ, სადაც ინგლისის ყველაზე გამოჩენილი შვილები მარხია. როულენდ ჰილის გამოგონება „ქაღალდის პატარა ნაგლეჯმა“ არა მარტო რევოლუციურად შეცვალა საფოსტო საქმე, არამედ მსოფლიო კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა.**

მუტაციის საოცრებანი

# ტელეჟურნალისტებმა გადაწყვიტეს, თვალი აგვიხილონ

**ბრიტანელმა ტელეჟურნალისტებმა გადაწყვიტეს მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ ყოველივე, რაც იმალება იმ ფერმების კედლებში, რომლებშიც გამოჰყავთ გენეტიკურად მოდიფიცირებული ჯიშის პირუტყვი. გიგანტური ძროხა, რომელიც თავის „თანამოძმეებს“ ერთისამად აღემატება ზომით და წონით, ღორები, რომლების ანათებენ სიბნელეში და თხები, რომლებსაც ობობასავით ემარჯვებათ აბლაბუდის ქსოვა — ისინი ყველა გახდებიან Chanal 4 არხის გადაცემის „ფერმის“ გმირები.**

პროგრამა ეძღვნება ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც თანდათანობით სულ უფრო მეტად იწვევენ ადამიანის შეშფოთებას. მაყურებელი იხილავს თავისი გარეგნული „იერ-სახით“ შოკისმომგვრელი გენეტიკურად მოდიფიცირებული პირუტყვისგან შემდგარ მთელ სამხეცეს. მკვლევარი ბისა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის ამ პროდუქტის შესაძლო ნეგატიური შედეგების შესახებ.

ასეთი პროდუქტის საკვებად გამოყენების მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია ის, რომ მათი აზრით, მან ადამიანის ორგანიზმში შეიძლება გამოიწვიოს ფრიად ნეგატიური შედეგები — ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი შერყევის ჩათვლითაც კი. მეცნიერთა მტკიცებით, ტრანსგენები ორგანიზმში ზრდიან საშიში ალერგიების წარმოქმნის, საკვებით მოწამვლის და მუტაციის რისკს.

გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტი შეიძლება შეიცავდეს საფრთხეს არა მარტო ადამიანისთვის, არამედ ბუნებისთვისაც. ბიოტექნოლოგიათა მასობრივმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს დაუგეგმავი მუტანტიორგანიზმების წარმოქმნა.

სექტემბერში ნიუ-იორკის ჯან-



ოლივია ჯადსონი და ჟურნალისტი ჟილ კორენი მთელ მსოფლიოში მოგზაურობენ და, რომ იტყვიან, სანთლით ეძებენ იმ ადგილებს, სადაც აშენებენ ასეთ პირუტყვს.

ტელეარხის დირექტორს კევინ ლიგოს მიაჩნია, რომ ეს იქნება გამაოგნებელი სამეცნიერო სერიალი, რომელიც მიეძღვნება გენეტიკურ მოდიფიკაციებს. „ყოველივე ის, რასაც მაყურებელი იხილავს ფილმში, ნამდვილად არსებობს. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს არსებები მომავლიდან გვესტუმრნენ, მაგრამ ისინი ჩვენს დროში ცხოვრობენ“,— აცხადებს ლიგო.

მთელს მსოფლიოში შეკრებილ უამრავ საოცარ მუტანტს შორის, როგორც უკვე მოგახსენეთ, არის გიგანტური ძროხა. ამ ჯიშს ეწოდება „ბელგიური ცისფერი“. იგი გამოზარდეს ცხიმების გარეშე და ამიტომაც მისი ნაწველი მთელ გალონებს შეადგენს (ერთი გალონი დაახლოებით 4,543 ლიტრის ტოლია).

სერიალი მიზნად ისახავს არა მარტო მაყურებლის განცვიფრებას, არამედ, უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ჩვენი ყურადღება მიაპყროს სფეროში მიმდინარე საქმიანობას და მის შედეგებს ადამიანისთვის.

მას შემდეგ, რაც 80-იანი წლების დამლევს ამერიკულმა „მონსანტოს“ კომპანიამ პირველი ტრანსგენური პროდუქტი შექმნა, არ ცხრება კამათი მისი მასობრივი წარმოების მიზანშეწონილომრთელობის დაცვის დეპარტამენტში ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რესტორნების მენიუდან იმ კერძების ამოღებას, რომელთა დამუშავებას გენური ინჟინერიის მეთოდით მიღებულ „მავნე“ ტრანსგენურ ცხიმებში ერთ წუთზე მეტი დრო სჭირდება.

სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში ბიოტექნოლოგიების გამოყენების მომხრეები კი, თავის მხრივ ამტკიცებენ, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტის მასობრივი წარმოების გარეშე კაცობრიობას უბრალოდ, შიმშილით სიკვდილი ელის.

მეცნიერთა შეშფოთების მიუხედავად, გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეები უკვე მოჰყავთ მსოფლიოს 18 ქვეყანაში. 1996-2003 წლების პერიოდში ტრანსგენურ მცენარეთა მოვლა-მოყვანისთვის გათვალისწინებული ფართობები 40-ჯერ გაიზარდა და ახლა 67,7 მილიონ ჰექტარს მიაღწია (აქედან 42,8 მილიონი ჰექტარი შეერთებული შტატების წილად მოდის).

ევროპა პირუტყვის გამოსაკვებად ყოველწლიურად შეისყიდის 10 მილიონ ტონაზე მეტ ტრანსგენურ სოიას.

აღსანიშნავია, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული წყაროები ყველაზე ხშირად გვხვდება იმ პროდუქტებში, რომლებიც სოიას შეიცავენ: პურფუნთუშეული — 17,7 პროცენტი, ფქვილი და ბურღულეული — 16,7 პროცენტი და სოიის ნაწარმი — 16,4 პროცენტი.

სამზარეულო

# დღეს სადილად გვაქვს... „დრაკონისა და ვეფხვის ორთაბრძოლა“

**ჩინური სამზარეულოს შესახებ ლეგენდები დადის. ჩინელისთვის ჭამა არა მარტო შიმშილის მოკვლაა, არამედ რაღაც უფრო აღმატებული — რიტუალი, მისტიკა...**

— „ნი ჩიფანლა მა?“ — „უკვე მიირთვით საჭმელი?“ — ასე ესალმებიან ჩინელი ხანდაზმულები ერთმანეთს.

ჩინელს შეუძლია ბევრ რამეზე უარის თქმა ერთი კარგი სადილის გულისთვის. ჩინური სამზარეულო სხვა ქვეყნებშიც კარგადაა ცნობილი: იგი ლონდონელ დიასახლისებს, პარიზელ გურმანებს, ამერიკელ დოკერებსა და გერმანელ ბიზნესმენებს ერთნაირად იზიდავს. რაშია ამ პოპულარობის საიდუმლო?

ერთი ცნობილი ჩინელი მზარეულის აზრით, საიდუმლო — კერძების მომზადებაშია, ვინაიდან დროის 90 პროცენტი სწორედ მათში შემავალი ინგრედიენტების მომზადებაზე იხარჯება, ხოლო „დიდ ცეცხლზე“ მომზადებაზე — მხოლოდ ათი.

ჩინური სამზარეულოს სხვა სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მისი საიდუმლო საკმაზების სიუხვეშია, რომელიც აუმჯობესებს პროდუქტების გემოს, აცილებს სპეციფიკურ (მაგალითად, ცხვრის ხორცისა და თევზისძ სუნს. თანამედროვე ჩინურ სამზარეულოში 400-ზე მეტ საკაზმს ხმარობენ, მათგან ასს — გამუდმებით.

ზოგიერთები ყურადღებას აქცევენ ჩინურ კულინარიაში ეგზოტიკური სურსათის გამოყენებას. ტრეპანგები, მერცხლების ბუდეები, ზვიგენის ფარფლები — ყოველივე ეს ჩინური სამზარეულოს ძვირადღირებული, თუმცა არც თუ იშვიათი კომპონენტებია.

ყველაფერი ეს, ცხადია, არის კიდეც ჩინური სამზარეულოს მიმზიდველობისა და პოპულარობის მიზეზი, თუმცა მთავარი, ალბათ, ის გახლავთ, რომ ჩინეთში, როგორც არც ერთ



სხვა ქვეყანაში, კულინარიის ხელოვნება სრულყოფამდეა მიყვანილი, იგი შეიჭრა ყოველდღიურ ყოფაში, ტრადიციებში, პოეზიაში, გახდა დიდი ერის უძველესი კულტურის განუყოფელი ნაწილი.

როგორც ჩანს, ყოველივე ამის მიზეზი ისაა, რომ ძველ ჩინეთში საჭმელს ისე უდგებოდნენ, როგორც უდიდეს განძს. საუკუნეების მანძილზე ჩინელებმა უნატიფესი კერძების დამზადება ისწავლეს ჩვეულებრივი ინგრედიენტებისგან — ბრინჯისგან, ლობიოსგან, ბოსტნეულისგან, თევზისგან. „თუ ცხოვრობ მთის ძირში, იკვებები იმით, რაც იქ მოდის, თუ წყლის პირას ცხოვრობ — მაშინ იკვებები იმით, რაც წყალშია“, — ასეთია უძველესი ჩინური სიბრძნე.

ჩინეთის ტერიტორიის სიდიდე და კლიმატური პირობების სხვადასხვაობა ეროვნული სამზარეულოს ნაირსახეობაშიც აისახა. ასევე ორიგინალურია ჩინური კერძების დასახელებები. თუკი ჩინურ რესტორანში ეგზოტიკურ „დრაკონისა და ვეფხვის ორთაბრძოლას“ შემოგთავაზებენ, მის შეკვეთას ნუ იჩქარებთ: ყველას შეიძლება არ მოეწონოს გველის ხორცი („დრაკონი“ძ და საგანგებოდ გასუქებული „კატის“ („ვეფხვის“ძ წვნიანი. თუმცა, როგორც გურმანები ამტკიცებენ, ის ძალიან გემრიელი, არომატული საჭმელია...

- რატომ მოიტეხა ხელი ბენიტომ და რად არ უნდა გამოვუცხადოთ ინტელექტუალური მხარდაჭერა კახელებს?
- რა მოქმედებს ახალი კანონის შესაბამისად შრომის წიგნაკის ნაცვლად?



## გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: თქვენი გაზეთის 159-ე ნომერში გამოქვეყნდა შრომის კოდექსის შესახებ განმარტებები, რისთვისაც მადლობას გიხდით.**

**გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა სახით მოხდება დასაქმებულთა შრომითი საქმიანობის აღრიცხვა, რა ბედი ეწევა საწარმოში დასაქმებულებზე გახსნილ და ჯერ გაუხსნელ შრომის წიგნაკებს, რა დოკუმენტები უნდა წარუდგინოს დამსაქმებელს დასაქმების კანდიდატმა?**

**ზ. გაფრინდაშვილი,**
**სს „ჭიათურმანგანუმის" დასაქმების სამსახურის უფროსი**

**პასუხი:** 2006 წლის 4 ივლისიდან ძალაში შესული შრომის კოდექსის შესაბამისად, დასაქმებულთა შრომითი საქმიანობის აღრიცხვა მოხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოებში დასაქმებულებზე გახსნილ შრომის წიგნაკებს შეინახავთ კადრების სამსახურში და საჭიროების შემთხვევაში მისცემთ მათ 2006 წლის 4 ივლისამდე მოქმედი კანონის თანახმად შრომითი საქმიანობის დასადასტურებლად.



ახალ წიგნაკებს, რა თქმა უნდა, აღარ გახსნით, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ სამუშაოზე მიღებულებს დაუდებთ შრომის ხელშეკრულებას განუსაზღვრელი, განსაზღვრული ან გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით (ეს დამსაქმებელზეა დამოკიდებული).

აქვე განგიმარტავთ, რომ დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების და შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

აქვე გაცნობებთ, რომ დასაქმების კანდიდატმა დასაქმებულს აუცილებლად უნდა წარუდგინოს პირადობის მოწმობა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა ამისა, კანონის თანახმად, დამსაქმებელი უფლებამოსილია, მოიპოვოს ყველა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. დასაქმების მსურველი პირი (იგივე კანდიდატი) ვალდებულია, დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელთაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს.

მსგავს საკითხებზე, გთხოვთ, გაეცნოთ ახალ შრომის კოდექსს, რომლის მეშვეობითაც შემდგომში მიიღებთ პასუხს თქვენთვის საინტერესო საკითხებზე.

სხვა საკანონმდებლო მასალა, შრომის საკითხებზე, დღემდე გამოცემული არ არის. თუ რამ უფრო კონკრეტული სიახლე იქნება შემდგომში ამ მიმართებით, დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ ჩვენი გაზეთის მეშვეობით.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა შეღავათები და დახმარება არის გათვალისწინებული 1991 წლის 29 აპრილს მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისთვის.**

**აკაკი ბურდილაძე**

**პასუხი:** 1991 წლის 29 აპრილს მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარებისა და შეღავათის გაწევა დღეს მოქმედი კანონით, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## ელამი სარკე

**ქუჩაში ორი მთვრალი მიდიოდა. ერთი წაბარბაცდა და მეორეს დაეჯახა.**

— მთვრალი ხარ, იუზგარ? — იკითხა იმან, რომელიც დაეჯახა.

— შენ დამეჯახე და მე ვარ მთვრალი? — იუკადრისა დაზარალებულმა.

— ვაა, გარდი-გარდმო მოდიოდი და დაგეჯახებოდი, აბა რა იქნებოდა, — თავი იმართლა დამჯახებელმა.

— მე ჩემ ქვეყანაში მინდა გარდი-გარდმო ვივლი და მინდა აღმა-დაღმა. შარზე ხარ, ძმაო, მიდი რა, გაიარე!

— ჯერ შენ გაიარე და მერე მე გავივლი.

— რატომ, ორივე ერთად ვერ გავეტევით?

— ვერა, ხომ ხედავ, ქუჩები გადათხრილია.

— ვაა, შენ მართლა მთვრალი ჩანხარ, ვიღაცა ხარ. დახედე, როგორი ასფალტი აგია, პირდაპირ ბრინჯი აიკრიფება.

— მაშ ბენიტომ ხელი რატომ მოიტეხა?

— ბენიტო ვილაა?

— არ იცნობ?

— საიდან უნდა ვიცნობდე, ალბათ იტალიელია.

— იტალიელი არა შოტლანდიელი, აქაური ჯიგარი ბიჭია, ტო.

— მთვრალი იქნებოდა.

— არა, ტო, სავსემ ფხიზელი იყო.

— საიდან იცი?

— თვითონა თქვა, ორი კვირის ფხიზელი ვიყავიო.

— და შენც დაუჯერე, არა?

— რატო არ უნდა დამეჯერებინა, ისე, ცოტა როხროხა ტიპი კია, მაგრამ ნაღდი ინტელიგენტია.

— დარწმუნებული ხარ?

— აბა როგორ, კაცი ლექსებსა წერს, შიგადაშიგ — მოთხრობებსაც.

# სტაჟიანი გოიმი



— ოო, ეგ საშიში რამეა.

— ლექსების წერა?

— არა, ინტელიგენტობა, უფრო მეტად კი ინტელექტუალობა.

— ვა, ეგ არ ვიცოდი!

— უნდა გაიგო. თუ ინტელექტუალია, გააფრთხილე, მხარი არავის დაუჭიროს, თორემ მაშინვე ჩააყუდებენ.

— როგორ ტო, ძმაკაცს თუ უჭირს, მხარი არ უნდა დაუჭიროს?

— უნდა დაუჭიროს, მაგრამ ინტელექტუალურად არა. ამაზე სროკია, ძმაო, კანონში პირდაპირ არის ჩაწერილი.

— ვთქვათ, ძმაკაცი მთავრობას აგინებს, ამან სიმღერა უნდა წამოიწყოს?

— მაგას არ გეუბნები. თვითონაც შეუძლია აგინოს მთავრობას, ჩვენს ქვეყანაში საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ სხვას ინტელექტუალურად არავითარ შემთხვევაში მხარი არ უნდა აუბას.

— კაცოო, შენ მართლა მთვრალი ჩანხარ.

— რაზე მატყობ, რო დამეჯახე?

— დაჯახებას მოეშვი, სხვა რამეს გეკითხები. ბენიტომ, მაგალითად კახელების მხარდაჭერის მიზნით ხაშლამა რომ ჭამოს, მაგისთვის უნდა დაიჭირონ?

— ჭამოს რამდენიც უნდა, გინდ ზედ მწვადიც დააყოლოს, მაგრამ არ უნდა გაამჟღავნოს, რომ მათი ინტელექტუალური მხარდაჭერის გამო მიირთმევს.

— ნეტა ყველა ქვეყანაში ეგრეა?

— არა, მარტო ჩვენთან მოქმედებს ეს კანონი. თვითონ ჩვენი სახელმწიფოა ინტელექტუალური და იმიტომ.

— აი, ვთქვათ, საქართველოს ამერიკისთვის რომ უნდოდეს ინტელექტუალური მხარდაჭერა, არ გამოუვა?

— არა, საკუთარ კანონს ხომ ვერ დაარღვევს.

— ერთიც უნდა გკითხო: შენ თვითონ ინტელექტუალური ხომ არა ხარ?

— არა, გოიმი ვარ, თანაც სტაჟიანი.

— ამის პენსიას ცალკე გაძლევენ?

— არა, ჩვეულებრივ პენსიას გოიმობისას 5 ლარს უმატებენ.

**ოტია ჩართოლანი**

**ქართული არმიის განვითარების ფონდი (რომელიც რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ 2004 წლის 15 აპრილს (რეგისტრაციის №1122ძ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულიას ქუჩა №3-ა. ტელ: 75-17-67; 877 77-30-11.**

## შემოწმება

# ნარკომანების გამოსავლენად

**სასაზღვრო პოლიციაში 7 ნოემბერს თანამშრომელთა ნარკოლოგიური შემოწმება დაიწყო. ტესტირება უკვე გაიარა სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელმა ბადრი ბიწაძემ. უწყებაში აცხადებენ, რომ შემოწმებას ცენტრალური აპარატის თანამშრომლები გაივლიან, შემდგომ კი ანალოგიური პროცედურა სხვა თანამშრომლებს ჩაუტარდებათ. ის პირი, რომელსაც გამოკვლევის საფუძველზე დადებითი პასუხი დაუდგინდება, სასაზღვრო პოლიციას დატოვებს.**

**ინტერპრესნიუსი**

## ხსოვნა

# გივი ლომიძე



გარდაიცვალა საქართველოს საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ვეტერანი მეგზევე და ჭეშმარიტი პროფესიონალი გივი ბიძინას ძე ლომიძე

დაიბადა 1928 წელს ქ. თბილისში, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო საგზაო სისტემაში გზის ოსტატის თანამდებობაზე და პენსიაში გასვლამდე ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები, როგორიცაა საგზაო-საექსპლუატაციო უბნის მთავარი ინჟინერი, უფროსი, საგზაო სამშენებლო სამმართველოს უფროსი და სხვ.

მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა სამაგალითო და მისაბაძია ყველა ქართველი მეგზევისათვის, სადაც კი უმუშავია, ყველგან დაიმსახურა შრომითი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა. იგი გამოირჩეოდა თავმდაბლობით, შრომისმოყვარეობითა და მაღალი პროფესიონალიზმით. ორგანიზატორული ნიჭის, ცოდნისა და დიდი გამოცდილების შედეგად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს საგზაო სისტემის განვითარებაში. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, სხვა ჯილდოებით.

ბატონი გივი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა, გამოირჩეოდა განსაკუთრებული გულისხმიერებით, გულწრფელობითა და ადამიანური სითბოთი. იგი იყო ქ. თბილისის კოლორიტული პიროვნება.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და კოლეგების გულებში.

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;**
**საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება.**



უახლოესი მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი საუკეთესო მეგობრის პაატა ცისკარიშვილის მამა

დიმიტრი ცისკარიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უჩა ჯავახიშვილი, ირაკლი კახიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეგობრის პაატა ცისკარიშვილის მამა

დიმიტრი ცისკარიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1962 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ელენე (ეკაძ შატბერაშვილი-ჭკუასელის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ქეთევან და ბედი შატბერაშვილების ოჯახს.

**შპს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი — ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას ქ. №7, აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული ფართის შენობის მესამე სართულზე 215 კვ.მ-ზე. საწყისი საკონკურსო ღირებულებაა 3 — აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში დღგ-ს, ელ.ენერგიის, წყლის, დასუფთავების, გადასახადის გარეშე. ცენტრის პრივატიზების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.**

**ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები: 1. საიჯარო ვადა განისაზღვროს არაუმეტეს 2 წლით. 2. მოიჯარემ დროულად დაფაროს წყლის, ელ. ენერგიისა და დასუფთავების გადასახადები.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება შპს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის შენობაში, 2006 წლის 22 ნოემბრის 12 საათამდე, სპირიდონ კედიას ქ. №7, ოთახი №20. ტ. 34-80-47.

№ 219. ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 2006 წელი.

- სენსაციური აღმოჩენა, რომელიც ამტკიცებს, რომ დელფინთა წინაპრები ხმელეთზე ცხოვრობდნენ და ოთხი კიდური ჰქონდათ.
- ლაგოდეხში სახელმწიფო ნაკრძალის რეაბილიტაცია იწყება.





## სულიერება

## წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) — გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსი



**8 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსს — ალექსანდრე მღვდელმთავარს იხსენიებს. ის გორის მაზრის სოფელ დისევში დაიბადა. სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში. 1845 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ის თბილისის ფერისცვალების მონასტერში ბერად აღიკვეცა.**

ახალგაზრდა მთავარ დიაკვანი სწავლის გასაგრძელებლად ყაზანს გაემგზავრა.

... 1851 წლის 21 სექტემბერს ალექსანდრე, აფხაზეთის ეპარქიაში, ხელმძღვანელობდა ილორში დაარსებული ქრისტიანული სასწავლებლების წარმატებულ მუშაობას. ადგილობრივმა მოსახლეობამ, ყოველგვარი გადამეტების გარეშე, მას დამსახურებული მოღვაწე და აფხაზეთის მეორე მოციქული უწოდა.

წმიდა ალექსანდრე 1869 წელს ქართლ-კახეთში გადაიყვანეს ქორეპისკოპოსად, შემდეგ — გურია-სამეგრელოში. სწამდა, რომ ეროვნულ თვითშეგნებაზე დაფუძნებული ქართველი ხალხის მისწრაფება გააძლიერებდა საქართველოს კულტურულად, ეკონომიურად და სულიერად. მან სოხუმში ააშენა ორი ეკლესია, განაახლა დიდებული შიო მღვიმის, ზედაზნის, ჯვრის, დავით გარეჯის, მცხეთის ათორმეტ მოციქულთა სახელობის დიდი ტაძარი, ქეგვში დააარსებინა რკინიგზის ბაქანი, აღადგინა ძველი სამონასტრო ტრადიციული მეურნეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა.

წმიდა ალექსანდრეს ინიციატივით მრავალი სასულიერო და ისტორიული წიგნი, სახელმძღვანელო და საგალობლების კრებული დაიბეჭდა. სიცოცხლის ბოლომდე კეთილად აღასრულა უფლისადმი თავისი უპირველესი მოვალეობა... მონასტრიდან მხოლოდ ერთხელ, ილია მართლის დასაფლავებისას ჩამობრძანდა და დაიტირა თავისი სულიერი შვილი. 83 წლის ასაკში, იმავე 1907 წელს მიიძინა საუკუნო ძილით მის მიერვე აღდგენილ შიო მღვიმის სავანეში, დაკრძალეს იმავე მონასტერში.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## სენსაცია



## იაპონელებმა ოთხფარფლიანი დელფინი დაიჭირეს

**იაპონელმა მეზღვაურებმა დელფინი დინგზოთლა აფალინა დაიჭირეს, რომელსაც ორი წყვილი ფარფლი აღმოაჩნდა. მეცნიერთა აზრით, ეს სენსაციური აღმოჩენაა, რაც ამტკიცებს, რომ დელფინთა წინაპრები ხმელეთზე ცხოვრობდნენ და მათ ოთხი კიდური ჰქონდათ.**

ოთხფარფლიანი დელფინები მეცნიერებს ადრეც შეხვედრიათ, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ინდივიდს უკანა ფარფლები მათ კარგად განვითარებული და ერთმანეთის სიმეტრიულად განლაგებული ჰქონდა.

ტოკიოს ინსტიტუტის ვეშაპისნაირთა კვლევის ცენტრის სწავლულების განცხადებით, ახლად დაჭერილი ხუთი წლის დელფინს უკანა ფარფლები წინასთან შედარებით პატარა ზომისა აქვს, თითქმის ადამიანის ტერფისხელა. ამგვარი ატავიზმი შესაძლებელია მუტაციამ გამოიწვია. მეცნიერები ახლა აპირებენ დელფინის დნმ-ს ანალიზს და რიგ რენტგენულ გამოკვლევას.

მეცნიერთა აზრით, 50 მილიონი წლის წინათ დელფინების, ვეშაპების, ბეჰემოტებისა და ირმების საერთო წინაპრები ხმელეთზე ცხოვრობდნენ და ოთხი კიდურის საშუალებით გადაადგილდებოდნენ. შემდგომში ძუძუმწოვართა ნაწილმა ცხოვრება წყალში გააგრძელა და კიდურებმაც ფარფლების ფორმა მიიღო.

## ინფორმაცია

## ჟანგბადის ბალონების საამქროებს შეამოწმებენ

**თბილისის ზედამხედველობის სამსახური ჟანგბადის ბალონების საამქროებს შეამოწმებს. ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის ლევან ედილაშვილის განცხადებით, შემოწმებები ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან ერთად განხორციელდება.**

— უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში შეჯერდება ის ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც აუცილებელია ჟანგბადის ბალონების ექსპლოატაციისთვის. შემდგომ ეტაპზე კი მოხდება საღგურების შემოწმება, — განაცხადა ედილაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, დედაქალაქში განთავსებული სადგურების ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის.

ზედამხედველობის სამსახური აღნიშნული საკითხით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც თბილისში კაიროს ქუჩაზე ზედიზედ ორი აფეთქება ჟანგბადის ბალონის არასწორი ექსპლუატაციის გამო მოხდა. აფეთქებების შედეგად გარდაიცვალა შვიდი და დაშავდა ექვსი ადამიანი.

ჯი-ეიჩ-ენი

## ანეკდოტები

**შეუხედავი ქალი ეტლს ქირაობს და მეეტლეს შეშფოთებული ეკითხება.**

**— თქვენი ცხენი მშიშარა ხომ არ არის, ხომ არ დაფრთხება და თავაწყვეტილი ხომ არ გაქროლდება? მეშინია!...**

**— ნუ შიშობთ, ქალბატონო, დაბრძანდით, იგი უკან არ იხედება ...**

* * *

**ამერიკელი ტურისტი გიდთან ერთად ლონდონში სეირნობს.**



**— თქვენთან ყველაფერი რაღაცნაირად თითქოს დაპატარავებულია, — ამბობს ამერიკელი, — აი, მაგალითად, ეს შენობა ჩვენთან ათჯერ მაღალი მაინც იქნებოდა.**

**— ო, რა თქმა უნდა, სერ! ეს ფსიქიატრიული კლინიკაა.**

* * *

**ტროლეიბუსში ორი 15-16 წლის გოგო ზის. ამოდის ბიჭი, მათ გვერდით ჩერდება და ღიმილით ამბობს:**

**— ოი, რა სიმპათიური გოგონები არიან.**

**— სიმპათიური კი არა, ის არ გინდა?... — ვითომ წაიკეკლუცეს გოგოებმა.**

**— კარგით, ჰო, ხუმრობაც არ შეიძლება?**

* * *

**— ბიჭებო, როგორ გკვებავენ, გყოფნით საჭმელი? — ეკითხება ოფიცერი ჯარისკაცებს.**

**— გმადლობთ, გვყოფნის კი არა, გვრჩება კიდეც.**

**— მაინც რა გრჩებათ?**

**— დაფნის ფოთოლი.**

* * *

**გამოცანა საზრიანთა კლუბის წევრთათვის: „გეოკაფე — 4“— ის რეალითი შოუს ერთ-ერთი მონაწილე ვენერიული სენით დაავადდა. რა დროის შემდეგ დაავადდება ამ რეალითი შოუს ყველა მონაწილე აღნიშნული სენით?**

## ინფორმაცია

## ლაგოდეხში ნაკრძალის რეაბილიტაცია იწყება

**ლაგოდეხში სახელმწიფო ნაკრძალის რეაბილიტაცია იწყება. ლაგოდეხის გამგებელმა თამაზ გოძიაშვილმა განაცხადა, რომ ნაკრძალში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია მოხდება, ამავდროულად აშენდება ახალი სასტუმრო კომპლექსი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვება.**

როგორც გოძიაშვილი აღნიშნავს, მშენებლობას მთლიანად მსოფლიო ბანკი აფინანსებს.

სახელმწიფო ნაკრძალი და იქ მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე მოინახულეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა და კახეთის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

## კადრი



## ლარის კურსი

**8 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2940 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7355 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2041 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0650 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9882 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4552 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4380 ლარი. |


## განცხადება

**სამედიცინო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი და გაერთიანებული ქართული ბანკი პირველად საქართველოში გთავაზობთ ერთობლივ პროექტს — პაციენტს ყველა სახის სადიაგნოსტიკო და სტაციონარული მომსახურება (ნეიროქირურგიული, ზოგადქირურგიული და გინეკოლოგიური ოპერაციები) გაეწევა ბანკის მიერ გაცემული უპროცენტო კრედიტის საფუძველზე.**

**დაინტერესებულ პირებს (პაციენტებს) აღნიშნულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ ინსტიტუტის ადმინისტრაციას.**

**მისამართი: თევდორე მღვდლის ქ. 13.**
**ტელ: 94-02-89; 899 54-60-32.**

## რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.